პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს
სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ
ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

10 მარტი
კვირა
1974
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 58 (15879)

საყოველთაო, სახალხო შრომითს ვახტზე!

გაზაფხულის ეს დღეები სოფლად!

გეგმა — ყველა მაჩვენებლით

თბილისი. ოთხი თვის გეგმა შევასრულოთ 20 აპრილისათვის და კომუნისტური შაბათობის დღეს ვიშრომოთ ყველაზე მაღალნაყოფიერად, — ასეთი ვალდებულება იკისრა შალის საქსოვი ფაბრიკის (დირექტორი ო. ბალანჩივაძე) კოლექტივმა. ფეიქრები დაპირებას საქმით ამართლებენ, ორი თვის გეგმა ყველა მაჩვენებლით შეასრულეს, მომხმარებელს გეგმის გადამეტებით 266 ათასი მანეთის პროდუქცია გაუგზავნეს, საერთო პროდუქციის გამოშვების დავალებას 166 ათასი მანეთით გადააჭარბეს. შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 3 პროცენტით გაზარდეს.

ფაბრიკაში სულ უფრო ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება ახალი სამკერდე ნიშნების მოპოვებისათვის. ამ შრომით მეტოქეობაში პირველ რიგებში არიან მქსოველთა, საჩეჩ-სართავი და გამომყვანთა ბრიგადები, რომლებსაც ტ. ანდრიანოვი, პ. ნიკოლაიშვილი და გ. თვარაძე ხელმძღვანელობენ.

დაწინაურდნენ ქალთა ბრიგადები

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). ქალთა საერთაშორისო დღისათვის ნაკისრი ვალდებულებები წარმატებით შეასრულეს კამვოლური დართვის ფაბრიკის (დირექტორი ნ. ხურცია) მრთველთა, მვარცხნელთა და მაორფებელთა იმ ბრიგადებმა, რომლებსაც მაყვალა სეხნიაშვილი, ალა ბილგვა, გულნარა სვანიშვილი და ამალია ოშაყმაშვილი ხელმძღვანელობენ.

საწარმოს კოლექტივი, რომლის წევრთა უმეტესობა ქალებია, წელს დამკვრელურად შრომობს, თანდათან სრულყოფს შრომის ორგანიზაციას, ამაღლებს წარმოების ეფექტიანობას, აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს. წლის განვლილ ორ თვეში ფეიქრებმა გამოუშვეს 3 მილიონ 878 ათასი მანეთის პროდუქცია და მოახდინეს 4 მილიონ 304 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია, ეს მაჩვენებლები გეგმას ბევრად აღემატება.

ფეიქრები თანდათან აფართოებენ შეჯიბრებას „1974 წლის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულისა“ და „მეცხრე ხუთწლედის დამკვრელის“ სამკერდე ნიშნების მოპოვებისათვის.

დავალების გადამეტებით

თელავი. (საკ. კორ.). ფოქალ-მარმარილოს კომბინატის (დირექტორი შ. გოლეთიანი) მშრომელებმა, რომლებიც ჩაებნენ ხუთწლედის მეოთხე — განმსაზღვრელი წლის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, წლის დასაწყისიდანვე შრომის მაღალი ტემპი აიღეს. ახლა თვითეული საამქრო, ბრიგადა, მუშა ყოველდღიურად დავალებას გადაჭარბებით ასრულებს და თავისი წვლილი შეაქვს საერთო წარმატებებში.

კომბინატმა სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ორი თვის გეგმა 114,2 პროცენტით შეასრულა და გეგმის გადამეტებით 34 ათასი მანეთის მოსაპირკეთებელი ფილები, მარმარილოს ნამცეცები და სხვა მასალები გამოუშვა. ამავე პერიოდში კომბინატმა პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 102,9 პროცენტით შეასრულა.

მეოთხედი საუკუნეა თბილისის ნართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში მუშაობს მქსოველი ციალა კვირიკაშვილი. მთელი ამ წლების მანძილზე იგი წარმოების მოწინავე მუშაკთა რიგებშია. ხუთწლედის მესამე წლის დავალებანი ვადამდე რომ შეასრულა, ციალა კვირიკაშვილმა გადაწყვიტა თავისი პირადი ხუთწლედი წელს დაამთავროს. იგი მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვების გეგმას. სურათზე: ც. კვირიკაშვილი გამოცდილებას უზიარებს ახალგაზრდა მქსოველს ე. ქირიას.

ა. რუხაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

[illegible]

კარგი მაგალითი

საგარეჯო. (საკ. კორ.). ხაშმის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორები ერთ-ერთი პირველნი გამოეხმაურნენ მექანიზატორთა შეჯიბრებას დევიზით — „მომზადებული შევხვდეთ გაზაფხულს“. ამ საქმეში გამოცდილ მექანიზატორებთან ერთად ჩაებნენ ახალგაზრდებიც. მათ ისე დაგეგმეს თავიანთი მუშაობა, რომ რემონტი პირველი მარტისათვის დაემთავრებინათ.

ხაშმელებმა დათქმული პირობა გაანაღდეს.

სასუქები გეგმის გადამეტებით

რუსთავი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ორი სასიხარულო ცნობა მოვიდა დიდი ქიმიის ფლაგმანიდან — ქიმიური კომბინატიდან. კომბინატის კოლექტივმა ჯერ კიდევ 1973 წლის მესამე კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით გაიმარჯვა სამი ქალაქის — რუსთავის, ჩერკასის და სუმგაითის საწარმოებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ჯილდოდ ამ ქალაქების გარდამავალი წითელი დროშა დაისაკუთრა.

ახალი წარმატებები მოიპოვეს ქართველმა ქიმიკოსებმა იანვარ-თებერვალშიც. მათ გადაჭარბებით გაანაღდეს იანვარ-თებერვლის საწარმოო დავალებები როგორც პროდუქციის რეალიზაციის, ისე სასაქონლო პროდუქციის გამოშვების მხრივ.

თესავენ შვრიას, მზესუმზირას

სიღნაღი. (საკ. კორ.). საგაზაფხულო კულტურების, კერძოდ, შვრიის თესვას პირველი შეუდგა სოფელ ბოდბისხევის კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადა, რომელსაც უხვი მოსავლის ოსტატი, ლენინის ორდენოსანი გ. გოზალიშვილი ხელმძღვანელობს.

მექანიზატორებმა დ. ზურაბაშვილმა და ჩ. ჯალიაშვილმა ოთხ დღეში 82 ჰექტარზე დათესეს შვრია და ახლა მზესუმზირას თესვას შეუდგნენ. დღიურ ნორმას ისინი დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

ხნულს ხნული ემატება

ცხაკაია. (საკ. კორ.). კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიმდინარეობს ხვნა და ნიადაგში სასუქების შეტანა. სოფელ ლეძაძამის კოლმეურნეობაში წელს 531 ჰექტარზე უნდა დათესონ ერთწლიანი კულტურები. აქ ყოველდღე ემატება ხნულს ხნული, რამდენიმე დღეში დაამთავრებენ ხვნას. თესვისათვის კარგად ემზადებიან აგრეთვე უშაფათის, ფოცხოს, ხორშის კოლმეურნეობები, ახალსენაკის საბჭოთა მეურნეობა. ნაცვლად 855 ცენტნერისა კონდიციამდე აყვანილია 1.342 ცენტნერი სიმინდის თესლი. საკმაო რაოდენობით არის გამოყოფილი სოიის და ლობიოს თესლი.

კვარტალის გეგმა — ორ თვეში

ახალქალაქის რაიონის მშრომელებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება მეცხრე ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელი წლის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის. უკვე მოპოვებულია პირველი წარმატებანი. მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 966 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 1.164 ტონა რძე. ეს გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს 379 ტონით სჭარბობს.

იანვარ-თებერვალში საგრძნობლად გადიდდა თვითეული საფურაჯე ძროხის წველადობა. ამასთან ერთად კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 515 ტონა ხორცი ნაცვლად 502 ტონისა, ანუ გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით სახელმწიფოს მიეყიდა 35 ტონით მეტი ხორცი.

სახელმწიფოსათვის გეგმის გადამეტებით რძისა და ხორცის მიყიდვა გრძელდება. ეს რედაქციას აცნობა ახალქალაქის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომმა.

იოსებ ნონეშვილი

საქართველოში გაზაფხულია

საქართველოში გაზაფხულია,
მზე დამჩრალ მთა-ბარს სხივებს ასხურებს.
უცნაურია...
არ ჰგავს სრულიად
ეს გაზაფხული
სხვა გაზაფხულებს.
მიწა იღვიძებს ნაკვეთ-ნაკვეთად,
იშუშებს ცივი ზამთრის იარებს.
წკრიალი გააქვს სახნის-საკვეთელს
და მზე წითელი
კვალში ბრიალებს.
თბილისმაც იგრძნო
პირველ იებით,
მტკვრის მოდიდებულ მღვრიე ნაპირით,
ჭრელი ქათიბით,
ცისფერ წვიმებით,
ფერად სიზმრებით
მოდის აპრილი.
მოდის,
ვარსკვლავებს მოაჟღარუნებს,
ხვავს და ბარაქას უხვად გვპირდება.
საგაზაფხულო სუნთქვა ძალუმი
უკვე დაეტყო ქვეყნის კიდე-განს.
მოდის,
დაადნოს ცა მოღრუბლული,
აავსოს
ჩირგვი,
ყანა,
ბალახი
მერცხლის ჭყივილით,
ქედნის ღუღუნით,
ხოხბის ყივილით,
შაშვის ჭახჭახით.
ახლა ბავშვებით ქუჩა ჟივჟივებს,
ფართოდ აღებენ ფანჯრებს სახლები...
ეცემა
გლეხკაცს,
მუშას,
ინჟინერს,
შუქი შენების და განახლების
ხალხი ყიჟინით მინდორს ესევა,
მთაც,
ვით ფუტკრის სკა,
ისე გუგუნებს...
— კაფე, თესეო!
— კაფე, თესეო!
ალბათ მგოსნებსაც გვიხმობს გუგული
ჩვენც გვაქვს სათესიც და გასაკაფიც...
(გუგული გვიხმობს თუ ხმა გულისა?..)
დე გაბედული ლექსის ღვართქაფი
ქუხდეს, ვით დელგმა გაზაფხულისა.
ხინჯი რამ სულში თუ გვეგულება,
თოვლივით გაჰყვეს წინა წელიწადს...
ჩვენც განვიწმინდოთ, როგორც ბუნება,
ხნულს მოვაბნიოთ თესლი რწმენისა...
თუ გვაქვს
ეჭვი რამ,
ჩამოვიცილოთ,
გადავივიწყოთ სევდაც სრულიად...
თუ გულში გვიდგას ზამთრის სიცივე,
გაზაფხული რა გაზაფხულია!..
ხე ცხოვრებისა
სულში ხმაურობს
და გულის სწორის
ხილვა გვწყურია.
მართალი გითხრათ:
უსიყვარულოდ
გაზაფხული რა გაზაფხულია!..
...კავკასიონის მთებზე იმედად
ჩანს ცისარტყელა წითელ-ყვითელი
და ირხევიან ვერცხლის წვიმები,
როგორც სიმები
ელვის თითებით.
მიწას ნაზამთრალს,
ყინვით დაზაფრულს,
ცხელი სხივები გადაეფარა...
მომილოცია ეს გაზაფხული,
მრავალ გაზაფხულს,
ჩემო ქვეყანავ!..

არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალურ მდივანს, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტს

ჰაფეზ ასადს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა სახელით გულითადად გილოცავთ თქვენ, არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიას, სირიის მთავრობას და მთელ სირიელ ხალხს სირიის 8 მარტის რევოლუციის XI წლისთავს.

არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობით განხორციელებულმა რევოლუციურმა ცვლილებებმა გზა გაუხსნეს დემოკრატიული და პროგრესული სოციალ-ეკონომიური გარდაქმნების ფართო პროგრამის რეალიზაციას თქვენი ქვეყნის მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ. სირიის საზოგადოების მზარდი ერთიანობის დადასტურება იყო 1972 წელს პროგრესული ეროვნული ფრონტის შექმნა, რომელიც დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს ახალი ცხოვრების მშენებლობისათვის, იმპერიალიზმისა და რეაქციის ხრიკების მოგერიებისათვის მასების დარაზმვის საქმეში.

საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად და მტკიცედ უჭერს მხარს სირიელ და სხვა არაბ ხალხების მეცადინეობას, რომლის მიზანია ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოწესრიგება 1967 წელს ოკუპირებული ყველა არაბული ტერიტორიიდან ისრაელის ჯარების მთლიანად გაყვანისა და პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი ეროვნული უფლებების უზრუნველყოფის საფუძველზე.

დარწმუნებული ვართ, რომ სსრ კავშირისა და სირიის არაბთა რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის ურთიერთობა კვლავაც განვითარდება ეროვნული დამოუკიდებლობის, ხალხთა მშვიდობისა და პროგრესის საქმის განმტკიცების საკეთილდღეოდ.

ლ. ბრეჟნევი **ნ. პოდგორნი**

ა. ა. გრომიკოსა და ე. ბარის შეხვედრა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ 8 მარტს მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო დავალებათა მინისტრი ე. ბარი და ესაუბრა მას სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებზე, აგრეთვე ზოგიერთ საერთაშორისო პრობლემაზე. (ტასი).

20 აპრილს კომუნისტური შაბათობაა

მოსკოვი. მოსკოვის ლენინური კომკავშირის სახელობის საავტომობილო ქარხანაში მხურვალედ დაუჭირეს მხარი დედაქალაქის მოწინავე საწარმოთა მოწოდებას 20 აპრილს მოაწყონ კომუნისტური შაბათობა. ავტომშენებლებმა ვალდებულება იკისრეს „წითელ შაბათობაზე“ ააწყონ 560 „მოსკვიჩი“ — 60 მანქანით მეტი, ვიდრე შარშანდელ შაბათობაზე.

სულ ამ დღეს დაგეგმილია გამოუშვან 1 მილიონ 200 ათასი მანეთის პროდუქცია.

საწარმოს კოლექტივმა ვალდებულება იკისრა 20 აპრილს იმუშაოს დაზოგილი დამხმარე მასალებითა და ენერგორესურსებით.

ალმა-ათა. ყაზახეთის დედაქალაქის მოწინავე საწარმოთა კოლექტივებმა მოსკოველთა მაგალითით გადაწყვიტეს აღნიშნონ კომუნისტური შაბათობა უმაღლესი შრომის ნაყოფიერებით. ალმა-ათის ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის ბამბეულის კომბინატის მუშები და სპეციალისტები აპირებენ 20 აპრილს გამოუშვან ორმოცი ტონა ნართი, 250 ათასი მეტრი ხამი და ამდენივე მზა ქსოვილი — სულ ოთხასი ათასი მანეთისა.

ტაშკენტი. 20 აპრილს პირველი კომუნისტური შაბათობების მონაწილეები სათავეში ჩაუდგებიან ტაშკენტის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის თბომავალვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშათა ბრიგადებს. ორი ათას ხუთასი კაცი თავის სამუშაო ადგილს დაიკავებს, რათა სახელოვანი ტრადიციით დამკვრელური შრომით აღნიშნონ ვ. ი. ლენინის დაბადების 104 წლისთავი.

საწარმოს კოლექტივმა გადაწყვიტა გამოუშვას 25 ტონა ფოლადის ნადნობი და ნაჭედი, რამდენიმე ათასი დეტალი მოძრავი შემადგენლობისთვის, რისთვისაც გამოიყენებენ წლის დამდეგიდან დაზოგილ რესურსებს. შაბათობის მონაწილენი ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ ათიათასობით მანეთს.

არხანგელსკი. კომუნისტური შაბათობის დღეს გეგმის გადაჭარბებით ააწყობენ სამი ხე-ტყის ავტოსაზიდი. ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს სოლომბალის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშებმა, ამასთან ერთ მანქანას ააწყობენ დაზოგილი ლითონისაგან დამზადებული დეტალებით.

(ტასის კორ.).

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო მეგობრებო!

თბილისში ჩამოვიდა დასავლეთ გერმანელ კომუნისტთა დელეგაცია

ძმურად, გულთბილად და გულითადად შეხვდა რესპუბლიკის დედაქალაქი 8 მარტს გერმანელთა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ მუშაკთა დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს გერმანელთა კომპარტიის გამგეობის პრეზიდიუმისა და სამდივნოს წევრი გერჰარდ დოიმლიხი. გერმანელი ამხანაგები საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით.

აეროდრომზე დასავლეთგერმანელ კომუნისტებს შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. მ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე შ. ვ. ყარყარაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე ნ. ი. კიკვაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე, პარტიის რაიკომების მდივნები. (საქინფორმი).

სურათზე: გერმანიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ მუშაკთა დელეგაცია ეცნობა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას.

მ. დათიკაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

შეხვედრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

9 მარტს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა შეხვედრა გერმანელთა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ მუშაკთა დელეგაციასთან, რომელსაც მეთაურობს გერმანელთა კომპარტიის გამგეობის პრეზიდიუმისა და სამდივნოს წევრი გერჰარდ დოიმლიხი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის ყველა კომუნისტის სახელით დასავლეთგერმანელ კომუნისტთა წარმომადგენლებს მიესალმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. მ. სირაძე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა ადამიანები დიდად აფასებენ გერმანელთა კომუნისტური პარტიის ღრმა ერთგულებას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი, მის ბრძოლას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მშრომელთა ინტერესებისათვის.

ჩვენი სამშობლოს კომუნისტების, ყველა მშრომელის კმაყოფილების გრძნობას იწვევს ის ფაქტი, თქვა ვ. მ. სირაძემ, რომ გერმანელთა კომუნისტური პარტია საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან და სხვა მოძმე პარტიებთან ერთიან მწყობრში თავდადებით იბრძვის მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის, გადაჭრით ამხილებს ანტიკომუნიზმის იდეოლოგიას, აქტიურად ილაშქრებს იმპერიალიზმის, მილიტარიზმისა და რევანშიზმის ხრიკების წინააღმდეგ, იბრძვის მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

შეეხო რა დასავლეთგერმანელ კომუნისტებთან ამასწინანდელ

(დასასრული მე-2 გვ.).

მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით 8 მარტს ვახშამი გაუმართეს გერმანელთა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ მუშაკთა დელეგაციას გერჰარდ დოიმლიხის მეთაურობით.

ვახშამზე, რომელმაც მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში ჩაიარა, იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. ა. პატარიძე და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები. (საქინფორმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხვედრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

(დასასრული)

შეხვედრებსა და საუბრებს [illegible] მხარეში, გ. მ. სირაძემ აღნიშნა, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სულ უფრო მტკიცდება კომუნისტებისა და მთელი პროგრესული ძალების საბრძოლო პოზიციები, და ხაზგასმით აღნიშნა კონტაქტების მნიშვნელობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანელთა კომპარტიის ძმური ურთიერთობის შემდგომი გაღრმავებისათვის.

საუბრის დროს დელეგაციის წევრებს გააცნეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობა, რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევები სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული სოციალურ-ეკონომიური გეგმების განხორციელებაში.

გერმანელმა ამხანაგებმა ამომწურავი პასუხი მიიღეს შეკითხვებზე, რომლებიც ეხებოდა საქართველოს ცხოვრების სხვადასხვა მხარეს.

გერჰარდ დოიმლიხმა დელეგაციის სახელით მადლობა გადაუხადა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომელმაც შესაძლებლობა მისცა ჩამოსულიყვნენ საქართველოს სს რესპუბლიკაში. ჩვენ თან წაგვყვება მკაფიო შთაბეჭდილებანი თქვენს წარმატებებზე, განაცხადა დელეგაციის მეთაურმა, რომლებიც მოიპოვეთ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით რესპუბლიკის ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

გ. დოიმლიხმა აღნიშნა, რომ სულ უფრო იზრდება გერმანელთა კომპარტიის, მუშათა კლასის რევოლუციური პარტიის ავტორიტეტი, რომელიც მოქმედებს მარქსის, ენგელსის, ლენინის მოძღვრების საფუძველზე, რომ გაძლიერდა მისი გავლენა მუშებსა და ახალგაზრდებს შორის, რომ გერმანელთა კომპარტია იბრძვის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობის ეკონომიური და სოციალური ინტერესების დასაცავად.

ჩვენ, კომუნისტებს, განაცხადა დელეგაციის მეთაურმა, ჩვენს ერთ-ერთ ძირითად ამოცანად მიგვაჩნია საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან ურღვევი ძმური ურთიერთობის შემდგომი განმტკიცება.

დელეგაციის მეთაურმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს საჩუქრად გადასცა ალბომი გერმანიის რევოლუციური მუშათა მოძრაობის გაზეთების ფაქსიმილეებით, კარლ მარქსის მიერ შექმნილი რაინის ახალი გაზეთით დაწყებული და დასავლეთ გერმანელ კომუნისტთა გაზეთ „უნზერე ცაიტით" დამთავრებული.

საუბარს ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე შ. ვ. ყარყარაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე ნ. ი. კიკვაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი ა. დ. ჩიკვაიძე. (საქინფორმი).

მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდება

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სხდომათა დარბაზი მორთულია ალისფერი დროშებით. წითელ ტილოზე წარწერილია სიტყვები: „მხურვალე სალამი გერმანელთა კომუნისტური პარტიის დელეგაციას!". 9 მარტს აქ გაიმართა გერმანელთა კომპარტიასთან მეგობრობის მასობრივი მიტინგი.

შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ გერმანელთა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ მუშაკთა დელეგაციის წევრებს გერჰარდ დოიმლიხის მეთაურობით. სტუმრებთან ერთად პრეზიდიუმში იყვნენ პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. კობახიძე, საწარმოს წარჩინებული მუშაკები.

მიტინგი გახსნა მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა კ. შ. ბაქრაძემ, რომელმაც თქვა, რომ საწარმოს კოლექტივი მთლიანად და სავსებით უჭერს მხარს და იწონებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ლენინურ კურსს, რომელიც შეესაბამება საბჭოთა კავშირის, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის, ჩვენი პლანეტის მრავალმილიონიანი მასების ძირეულ ინტერესებს.

სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თანამშრომლობის განმტკიცების გზაზე, თქვა ორატორმა, უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კეთილმეზობლური თანამშრომლობის განვითარებაში ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს გერმანელთა კომუნისტურ პარტიას — თავისი ქვეყნის მუშათა კლასის ავანგარდს.

კრუპის ფირმის ქარხნების გერმანელთა კომპარტიის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ჰანს შულტე ამ საწარმოთა კომუნისტებისა და მუშების სახელით ძმურად მიესალმა რუსთაველ მშრომელებს. თქვენს რესპუბლიკაში ყოფნის დროს, განაცხადა მან, ჩვენ დავინახეთ, თუ რა წარმატებები მოიპოვეთ ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. სულითა და გულით გვახარებს თქვენი წარმატებანი, რომლებიც შთაგვაგონებენ ჩვენს ბრძოლაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მუშათა კლასის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

ჩვენი პარტია, ხაზგასმით აღნიშნა ჰ. შულტემ, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან თავისი ურღვევი ძმური ურთიერთობით ემსახურება მუშათა კლასის ინტერესებს, მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეს.

ტრიბუნაზეა დელეგაციის ხელმძღვანელი გერჰარდ დოიმლიხი. მან მიტინგის მონაწილეებს უამბო გერმანელთა კომუნისტური პარტიის საქმიანობაზე, იმ ამოცანებზე, რომლებიც ახლა დასავლეთგერმანელი კომუნისტებისა და მშრომელთა ფართო მასების ყურადღების ცენტრშია.

გერმანელთა კომპარტიის გამგეობის წევრმა, გერმანელთა კომპარტიის ბრემენის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ჰერბერტ ბრაიდბახმა შეკრებილთ გააცნო ფოტოსურათები, რომლებზეც ასახულია საარსებო უფლებებისათვის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მშრომელთა ბრძოლის ცალკეული ეტაპები.

მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა დელეგაციას საჩუქრად გადასცა ვ. ი. ლენინის პორტრეტი.

მიტინგის დამთავრების შემდეგ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კომუნისტებმა ქარხნის დირექტორის ო. ნ. სულაძის თანხლებით დაათვალიერეს მარტენის და მილსაგლინავი საამქროები.

* * *

ამავე დღეს გაიმართა თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისა და დასავლეთგერმანელ კომუნისტთა დელეგაციის წევრების შეხვედრა. გერმანელ ამხანაგებს მიესალმა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე.

შეხვედრაზე სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ნ. მელაძემ, რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილემ ვ. დ. კუპრავამ.

რესპუბლიკაში სამოგზაუროდ

გერმანელთა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ მუშაკთა დელეგაცია გერჰარდ დოიმლიხის მეთაურობით, რომელიც ეცნობა საქართველოს სს რესპუბლიკას, 9 მარტს საღამოს თბილისიდან სოხუმს გაემგზავრა.

ვაგზალში გერმანელთა კომპარტიის წარმომადგენელთა გასაცილებლად მოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. მ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე შ. ვ. ყარყარაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, პარტიის რაიკომების მდივნები. (საქინფორმი).

სამხედრო-პატრიოტული აღზრდის კერა

გაიმართა თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლთან არსებული სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების წევრთა საანგარიშო-საარჩევნო კრება. კრების მონაწილეებმა მოისმინეს სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარის გადამდგარი გენერალ-მაიორის ნ. კალაძის საანგარიშო მოხსენება.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საზოგადოების წევრთა მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდისა და სამხედრო-ისტორიული საკითხების დამუშავებისათვის. ორი წლის საანგარიშო პერიოდში საზოგადოების წევრებმა გამოსცეს 14 წიგნი და ბროშურა დიდი სამამულო ომის მონაწილეთა უჭკნობი საბრძოლო გმირობის შესახებ. მაღალი შეფასება დაიმსახურეს გადამდგარი გენერალ-მაიორის გ. ყურაშვილის წიგნებმა „ბრძოლით მოპოვებული დიდება" და „ძმათა სისხლით", გადამდგარი პოდპოლკოვნიკის შ. ფრანგიშვილის — „სამშობლო და პატრიოტიზმი", გადამდგარი პოდპოლკოვნიკის ხ. მუშკინის — „საყოველთაო სახალხო დახმარება დაჭრილ მეომრებს დიდი სამამულო ომის წლებში", გადამდგარი პოდპოლკოვნიკების მ. ბრონშტეინისა და ი. ცეიტლინის წიგნებმა საბჭოთა კავშირის გმირებზე — თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი საარტილერიო მეთაურთა უმაღლესი სასწავლებლის აღსაზრდელებზე, კავკასიისათვის ისტორიული ბრძოლების მონაწილეების მოგონებათა კრებულებმა, მონოგრაფიამ „ამიერკავკასიის ფრონტი დიდ სამამულო ომში" და სხვ.

სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების საქმიანობაში დიდი ადგილი უკავია სამხედრო-ისტორიული, სამხედრო-თეორიული და მკითხველთა კონფერენციების, თემატური საღამოების მოწყობას, რომლებიც დიდი სამამულო ომის უმნიშვნელოვანეს ბრძოლებს მიეძღვნა. ასეთი კონფერენციები, მაგალითად, მიეძღვნა სტალინგრადის ეპოპეის, კავკასიისათვის ბრძოლების 30 წლისთავებს, კურსკის რკალზე გერმანელ-ფაშისტთა ჯარების განადგურებას და სხვ.

დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ომის ვეტერანთა შეხვედრებს ჯარისკაცებთან და სერჟანტებთან, საქართველოს დედაქალაქის საწარმოების ახალგაზრდობასთან და სკოლების მოსწავლეებთან.

კრების მონაწილეებმა დასახეს კონკრეტული წინადადებანი, რათა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების საბჭოს, მისი სექციების მუშაობა, ამაღლონ საზოგადოების წევრთა აქტივობა, დიდი ყურადღება დაეთმო სამამულო ომში საბჭოთა ხალხისა და მისი გმირი შეიარაღებული ძალების მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების 30 წლისთავისათვის მზადებას, რომელიც გაისად აღინიშნება საყოველთაო-სახალხო მასშტაბით.

კრებამ აირჩია სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების ახალი საბჭო 53 კაცის შემადგენლობით. საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს გადამდგარი გენერალ-მაიორი ნ. კალაძე. (საქინფორმი).

ყველა მაჩვენებლით...

საქართველოს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტი მეორე ადგილზეა ქვეყანაში

შეჯამებულია 1973 წელს სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკურ ორგანიზაციათა მუშაობის შედეგები. საქართველოს სს რესპუბლიკამ ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით დაიკავა მეორე ადგილი კავშირში და დაჯილდოებულია საკავშირო პროფსაბჭოს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი ვიმპელით.

შეჯიბრებაში განსაკუთრებით კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს ქალაქ ქუთაისის (საზოგადოების საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე გ. სულამანიძე), წყალტუბოს რაიონის (კომიტეტის თავმჯდომარე დ. ქუთათელაძე) ორგანიზაციებმა, თელავისა და ქუთაისის ავტომოტოკლუბებმა, ბათუმის საზღვაო კლუბმა, ახალციხის ტექნიკური მომზადების სკოლამ და სხვ.

ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს საზოგადოების რესპუბლიკური ორგანიზაციის წინაშე დასახულია კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ამოცანები — მიაღწიოს ახალგაზრდობის სამხედრო-ტექნიკური მომზადების დონის ამაღლებას, გაზარდოს და განამტკიცოს კლუბებისა და სასწავლო პუნქტების სასწავლო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, უფრო აქტიურად განავითაროს სამხედრო-ტექნიკურ სახეობათა სპორტი.

საქართველოს საზოგადოების წევრები პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად აქტიურად იბრძვიან შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის და გადაწყვეტენ ახალი წარმატებანი მოიპოვონ რესპუბლიკათა შეჯიბრებაში. (საქინფორმი).

მსოფლიო დღეს

რ. ნიქსონის წერილი კონგრესს

ვაშინგტონი, 9 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა კონგრესს გაუგზავნა წერილი საარჩევნო სისტემის რეფორმის შესახებ.

წერილში პრეზიდენტი აცხადებს, რომ ახლანდელი საარჩევნო სისტემა უნდა გარდაიქმნას. რეფორმამ, აღნიშნავს პრეზიდენტი, უნდა აღმოფხვრას „ყველაზე აღმაშფოთებელი ბოროტმოქმედებანი საარჩევნო ბრძოლაში".

რ. ნიქსონის წინადადებაა, რომ მთელი რიგი ცვლილებანი შეიტანონ საარჩევნო კამპანიების დაფინანსების წესში, კერძოდ, შემოიღონ კანდიდატთა სავალდებულო და სრული ფინანსური ანგარიშგება, შეზღუდონ საარჩევნო კამპანიების ფონდში შესატანების ოდენობა. პრეზიდენტმა გადაჭრით განაცხადა, რომ ფედერალური სახსრებიდან არჩევნების დაფინანსების წინააღმდეგია.

რ. ნიქსონის წინადადებაა, რომ პრეზიდენტობის ვადა ოთხიდან ექვს წლამდე გააგრძელონ და ამასთან ერთად გამორიცხონ მეორე ვადით პრეზიდენტის ხელახლა არჩევის შესაძლებლობა. წერილი შეიცავს აგრეთვე წინადადებას, რომ წარმომადგენელთა პალატის წევრების რწმუნებულებათა ვადა გააგრძელონ ორიდან ოთხ წლამდე.

ინგლისის ახალი მინისტრები

ლონდონი, 9 მარტი. (საკდესი). ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჰ. ვილსონმა გამოაცხადა თავის მთავრობაში 27 ახალი მინისტრის დანიშვნის შესახებ.

საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრად, რომელიც პასუხისმგებელია „საერთო ბაზართან" ურთიერთობისათვის, დანიშნულია რ. ჰეტერსლი.

საგარეო საქმეთა მეორე სახელმწიფო მინისტრი გახდა დ. ენალზი, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრს კალაგენს შეცვლის მისი არყოფნის დროს.

ვილსონის მთავრობაში შევიდა ორი ცნობილი მემარცხენე ლეიბორისტი — ე. ჰეფერი, რომელიც მრეწველობის სახელმწიფო მინისტრად დანიშნეს, და ს. ორმი, რომელმაც მიიღო ჩრდილოეთ ირლანდიის საქმეთა სახელმწიფო მინისტრის პორტფელი.

საგარეო საქმეთა სამინისტროს კვლავ დამოუკიდებელ სამინისტროდ გამოეყო ზღვისგალმა ტერიტორიების განვითარების სამინისტრო, რომელსაც მეთაურობს ჯუდიტ ჰარტი.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა შეერთდება ხელშეკრულებას

ბონი, 9 მარტი. (საკდესი). ბუნდესრატმა (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პარლამენტის ზედა პალატა) ხმის უმრავლესობით მოიწონა კანონპროექტი ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებასთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შეერთების შესახებ. მთავრობის პარტიების — გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის დეპუტატებმა, აგრეთვე იმ მხარეების წარმომადგენლებმა, სადაც ხელისუფლების სათავეში ოპოზიციური ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირია, ხმა მისცეს კანონპროექტს. მის წინააღმდეგ ხმა მისცეს ბავარიის მხარის წარმომადგენლებმა, სადაც მმართველი პარტიაა შტრაუსის ქრისტიანულ-სოციალური კავშირი.

წინათ ხელშეკრულება მოიწონა ბუნდესტაგმა.

მალაგასის რესპუბლიკის მოსახლეობა

ტანანარივე. 1974 წლის დამდეგს მალაგასის რესპუბლიკის მოსახლეობის რიცხვმა შეადგინა 8,3 მილიონი კაცი. სტატისტიკისა და ეკონომიური კვლევის ეროვნული ინსტიტუტის მონაცემებით, რომლებიც აქ გამოქვეყნდა, ამ ბოლო 23 წლის მანძილზე მალაგასის რესპუბლიკის მოსახლეობას შეემატა 4,3 მილიონი კაცი.



შვეცია. საწვავის მწვავე ნაკლებობა, ბენზინის შეზღუდული გაყიდვა სპეციალური ბარათებით ევროპის მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში, იძულებულს ხდის მოსახლეობას როგორღაც შეეგუოს ახალ პირობებს.

ავტომობილის ამ მოხერხებულ მფლობელს (სურათზე) გადაუწყვეტია თან წაიღო ველოსიპედი იმ შემთხვევისათვის, თუ ბენზინი არ ეყო სამუშაოზე მისასვლელად.

პრესმენს ბილდ-საკდესის ფოტო.

ამ ერთ კვირაში

საერთაშორისო მიმოხილვა

● ვაჭრობა ყველასათვის ხელსაყრელია ● ინგლისში არჩევნების შემდეგ ● რეაქციული ამბოხება არგენტინაში.

კარგად არის ცნობილი, რომ ერთ-ერთი მსხვერპლი „ცივი ომისა", რომელიც კაცობრიობას თავს მოახვიეს დასავლეთის იმპერიალისტურმა წრეებმა, აღმოჩნდა საერთაშორისო ვაჭრობა. და სავსებით ბუნებრივია, რომ საერთაშორისო დაძაბულობის დაწყებულ შენელებას თან სდევს სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთხელსაყრელი სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის არნახული გამოცოცხლება. ამ დადებითი პროცესის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი მაგალითია ის, რომ უკანასკნელ წლებში მკვეთრად გაფართოვდა საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების საქმიანი ურთიერთობა.

1971 წელთან შედარებით საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვაჭრობის მოცულობა 7-ჯერ გაიზარდა და შარშან 1,5 მილიარდ დოლარს მიაღწია. მაგრამ ესეც, რა თქმა უნდა, ზღვარი როდია ორი ქვეყნისათვის, რომლებსაც აქვთ უდიდესი ეკონომიური პოტენციალი, დიდი საექსპორტო და საიმპორტო შესაძლებლობანი.

ეს ამერიკაშიც ესმით.

ამ დღეებში ვაშინგტონში სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის ნ. ს. პატოლიჩევისა და ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრის ჯ. შულცის მონაწილეობით გაიმართა პირველი სხდომა საბჭოთა კავშირ-ამერიკის სავაჭრო-ეკონომიური საბჭოსი — ერთობლივი ორგანიზაციისა, რომელიც შეიქმნა ორი სახელმწიფოს ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების ხელშეწყობისათვის. სხდომაზე გამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წარმომადგენლები და ავტორიტეტიანი ამერიკელი ბიზნესმენები. მათ უკვე იმაზე კი აღარ ილაპარაკეს, ღირს თუ არა ვაჭრობა სსრ კავშირთან, არამედ იმაზე, რანაირად შეიძლება დაჩქარდეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის სავაჭრო გაცვლის გაფართოება, იმ დაბრკოლებების აღმოფხვრა, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს ამ გზაზე. ამასთან ბევრმა ორატორმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილი იქნება დაიდოს გრძელვადიანი დიდი მასშტაბის გარიგებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მყარ ვაჭრობას.

სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის მაქსიმალური აქტივიზაცია მოითხოვა ამერიკის შეერთებული შტატების სამრეწველო და საფინანსო წრეების ხუთი ათასამდე წარმომადგენელმა. ესენი არიან საერთაშორისო ვაჭრობის პრობლემებისადმი მიძღვნილი კონფერენციის მონაწილენი, რომელიც მარტის დამდეგს გაიმართა ჩიკაგოში. ისინი ერთსულოვნად მიესალმნენ საერთაშორისო ეკონომიურ საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწის პ. ფლენიგანის გამოსვლას, რომელმაც აღნიშნა, რომ საჭიროა საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს მიენიჭოთ ვაჭრობაში უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმი, ანუ უარი თქვან ყოველგვარ დისკრიმინაციაზე ქვეყნებს შორის სავაჭრო გარიგებათა განხორციელების დროს. საბჭოთა კავშირისათვის სავაჭრო კრედიტების შეუფერხებელი მიცემა, რაც საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის ნორმალური ფორმაა, კონფერენციაზე მოითხოვა საბჭოთა კავშირ-ამერიკის სავაჭრო-ეკონომიური საბჭოს პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ჯ. კონორმა.

სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელსაყრელი საქმიანი ურთიერთობის გაფართოების ამ მისწრაფებას ეწინააღმდეგება ზოგიერთი რეაქციული მოღვაწე, ისეთები, როგორიც არის თავისი ანტისაბჭოურობით ცნობილი ამერიკელი სენატორი ჰ. ჯექსონი. ისინი სხვადასხვა უგუნური საბაბით ცდილობენ ხელი შეუშალონ საბჭოთა კავშირ-ამერიკის სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის გაფართოებას.

მაგრამ დღითი დღე მტკიცდება ოკეანესგაღმა იმ ჭეშმარიტების შეგნება, რომ ასეთი ურთიერთობის წარმატებით განვითარება ეკონომიურად სასარგებლოა ორივე ქვეყნისათვის, განამტკიცებს ურთიერთნდობას და, მაშასადამე, ხელს უწყობს ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებას.

ინგლისში ვადამდელ პარლამენტის არჩევნებს, რომელიც 28 თებერვალს გაიმართა, გადამწყვეტი გამარჯვება არ მოუტანია არც ერთისათვის ორი წამყვანი პოლიტიკური პარტიიდან — კონსერვატიული და ლეიბორისტული პარტიებიდან. ეს პარტიები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რიგრიგობით ცვლიდნენ ერთმანეთს ხელისუფლების სათავეში. ლეიბორისტები, რომლებმაც 301 ადგილი მიიღეს თემთა პალატაში, აღმოჩნდნენ კონსერვატორებზე წინ, რომლებსაც აქვთ 296 ადგილი, მაგრამ ვერც მათ შეაგროვეს აბსოლუტური უმრავლესობა, რაც 318 მანდატს შეადგენს.

კონსერვატორებისათვის არჩევნების შედეგები მძიმე დამარცხებას ნიშნავს. ჩაიფუშა ყოფილი პრემიერ-მინისტრის ე. ჰიტის ვარაუდები, რომელიც ვადამდე არჩევნებს მართავდა „ძლიერი მთავრობის" შექმნის ლოზუნგით. კონსერვატორებმა, რომელთა პოლიტიკამ ქვეყანას ომისშემდგომ პერიოდში ყველაზე მძიმე ეკონომიური კრიზისი მოუტანა, ბევრი ხმა დაკარგეს. მათ ვერ უშველა ვერც იმან, რომ ქვეყანაში გააჩაღეს ანტიკომუნისტური და ანტიპროფკავშირული ისტერია, რისთვისაც საბაბად გამოიყენეს მეშახტეთა საყოველთაო გაფიცვა.

ლეიბორისტული მთავრობა, რომელიც ახლა ჰ. ვილსონმა ჩამოაყალიბა, ინგლისში უმცირესობის პირველი მთავრობაა 1929 წლიდან. მისი მდგომარეობა მტკიცე არ არის, ხოლო მის წინაშე დასახული ამოცანები უაღრესად რთულია. თუმცა ლეიბორისტულმა კაბინეტმა შეძლო შეესრულებინა ერთ-ერთი თავისი არჩევნებისწინა დაპირება — მოეწესრიგებინა კონფლიქტი მეშახტეებთან, მაგრამ მან კიდევ ბევრი ძნელი პრობლემა უნდა გადაჭრას. ამ პრობლემებს განეკუთვნება ბიუჯეტის პროექტის შემუშავება, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიის უსასტიკეს ღონისძიებებს; მოლაპარაკება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან 3 მილიარდი გირვანქა სტერლინგის სესხის მისაღებად საგადამხდელო ბალანსის უდიდესი დეფიციტის დაფარვისათვის. ლეიბორისტებს კიდევ უფრო გაუჭირდებათ თავიანთი არჩევნებისწინა დაპირების შესრულება „საერთო ბაზარში" ინგლისის წევრობის პირობების გადასინჯვისა და მრეწველობის მთელი რიგი დარგების ნაციონალიზაციის შესახებ, ვინაიდან ამის წინააღმდეგ ილაშქრებენ კონსერვატორებიც და ლიბერალებიც, რომლებსაც ერთად მეტი ადგილი აქვთ თემთა პალატაში, ვიდრე ლეიბორისტებს.

მიმომხილველთა უმრავლესობის აზრით, ინგლისს ელის პოლიტიკური მერყეობის ახალი პერიოდი, და თვით ლეიბორისტებიც არ ჩამორიცხავენ იმის შესაძლებლობას, რომ ახლო მომავალში მოეწყოს პარლამენტის ახალი არჩევნები.

უკვე ერთ კვირაზე მეტია, რაც არგენტინის კორდოვის პროვინციაში დაძაბული მდგომარეობაა, რაც იმის შედეგად შეიქმნა, რომ ულტრამემარჯვენე პროიმპერიალისტურმა წრეებმა ამბოხება მოაწყვეს ამ პროვინციის კანონიერ ხელისუფალთა წინააღმდეგ. მეამბოხეებმა დააპატიმრეს გუბერნატორი და ადგილობრივ ხელისუფალთა სხვა წარმომადგენლები, მემარცხენე შეხედულებებით ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები. მათ ხელთ იგდეს კორდოვის საკანონმდებლო ორგანოს, მემარცხენე პროფკავშირებისა და სხვა პროგრესული ორგანიზაციების შენობები, ქალაქში პოლიციური წესრიგი დაამყარეს. ახალგამომცხვარი „ბატონები" აწყობენ ჩხრეკა-დაპატიმრებებს, იყენებენ იარაღს. ქალაქის ქუჩებში აღმართულია ბარიკადები, გაისმის სროლის ხმა, არიან დახოცილები და დაჭრილები.

რეაქცია ცდილობს თავისი მოქმედება გაამართლოს იმით, თითქოს კორდოვაში წარმოიშვა იმის საჭიროება, რომ „ბოლო მოეღოთ მარქსიზმისათვის". მან შემთხვევით როდი მოაწყო პუტჩი ქვეყნის სწორედ ამ დიდ სამრეწველო ცენტრში, რომელიც ცნობილია თავისი უფლებებისა და დემოკრატიული თავისუფლებების დასაცავად მუშათა კლასისა და სხვა პროგრესული ძალების საბრძოლო გამოსვლებით. მემარჯვენეები უტევენ მუშათა კლასსა და პროფკავშირებს და სურთ შექმნან წანამძღვრები. თავიანთი საშიში ზრახვების განხორციელებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორდოვა [illegible] იმ დანაშაულებრივი მოქმედების გრძელ ჯაჭვში, რომელსაც სჩადიან რეაქციული ძალები თავიანთი მიზნების მისაღწევად. ეს ძალები ცდილობენ ხელი შეუშალონ ქვეყანაში პროგრესულ გარდაქმნებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამჟამად მმართველი ხუსტისიალისტური პარტიის პროგრამით, რომელიც მან შარშანდელ არჩევნებზე წამოაყენა. ეს პროგრამა შეიცავს ისეთ დებულებებს, როგორიც არის დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის განხორციელება ყველა ქვეყანასთან, მათ შორის სოციალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობის საფუძველზე, უცხოეთის მონოპოლიების საქმიანობის შეზღუდვა, კონტროლის დაწესება საგარეო ვაჭრობისადმი, მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

შარშან ხელისუფლების სათავეში ხუსტისიალისტთა ჩადგომის შემდეგ, რომელთა ლიდერია ახლანდელი პრეზიდენტი პერონი, გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა ამ პროგრამის შესრულებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის დამკვიდრების საქმეში. მაგალითად, არგენტინამ ნორმალური ურთიერთობა აღადგინა კუბასთან, დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, გააფართოვა ვაჭრობა მთელ რიგ სხვა ქვეყნებთან. მთავრობამ გააუქმა რეპრესიული კანონები, რომლებიც მიღებული იყო წინანდელი სამხედრო რეჟიმების მიერ. ღრმა იატაკქვეშეთიდან გამოვიდა კომპარტია, ლეგალურად დაიწყეს მოქმედება პროგრესულმა ორგანიზაციებმა, გაფართოვდა მოქალაქეთა დემოკრატიული უფლებანი და თავისუფლებანი. მიღებულია ზოგიერთი ღონისძიება უცხოეთის მონოპოლიათა საქმიანობის შესაზღუდავად.

გასაგებია, რომ ულტრამემარჯვენე ძალებს, ადგილობრივ ოლიგარქიასა და უცხოეთის მონოპოლიებს ეს ცვლილებები არ ეამათ. და მას შემდეგ, რაც ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ახლანდელი მთავრობა, მათ დაიწყეს ნიადაგის მზადება მისი დამხობისათვის. ამ საქმეში განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდნენ ის სამხედრო წრეები, რომლებიც იყვნენ 1955 წელს სახელმწიფო გადატრიალების თაოსნები და შემსრულებლები. როგორც ცნობილია, ამ გადატრიალების შედეგად ჩამოაგდეს პრეზიდენტის პოსტიდან პერონი.

ახლა ეს წრეები ცდილობენ ქვეყანაში შექმნან ქაოსი, რომელშიც შესაძლებელი იქნება ჩილეს მაგალითისამებრ ფაშისტური გადატრიალების მოწყობა. როგორც არგენტინის კომპარტია აღნიშნავს, ულტრამემარჯვენეები დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს მხარდაჭერით თავიანთ მოქმედებას წარმართავენ ახლანდელი მთავრობისა და ქვეყანაში მომხდარი პროგრესული გარდაქმნების წინააღმდეგ.

რეაქციის გამოხდომამ ფეხზე დააყენა მთელი ქვეყანა. მის წინააღმდეგ გადაჭრით გამოვიდნენ არგენტინის საზოგადოებრიობის ფართო წრეები და უწინარეს ყოვლისა მუშათა კლასი. რეაქციის ხრიკების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად კორდოვის მშრომელებმა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს. კომპარტიამ დაგმო მეამბოხეები და მოითხოვა ხელისუფლება გადაეცათ კანონიერი ადმინისტრაციისათვის. მან მოუწოდა მთელ დემოკრატიულ ძალებს შეაკავშირონ რიგები და ერთობლივი მეცადინეობით აღკვეთონ შეთქმულთა მოქმედება, გზა გადაუღობონ ფაშიზმს. (საკდესი).

ჰ. კისინჯერის გამოსვლა სენატში

ვაშინგტონი, 9 მარტი. (საკდესი). სენატის საფინანსო კომისიის სხდომაზე, რომელიც იხილავს მთავრობის მიერ წარდგენილ კანონპროექტს სავაჭრო რეფორმის შესახებ, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰ. კისინჯერმა მოუწოდა კონგრესს მოიწონოს საბჭოთა კავშირ-ამერიკის სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის ნორმალიზაციის ღონისძიებანი, რომლებიც მთავრობამ დასახა.

მან განაცხადა, რომ თუ კონგრესი მოიწონებს კანონპროექტში შეტანილ შესწორებებს, რომელთა მიზანი ის არის, რომ საბჭოთა კავშირს არ მიანიჭონ ვაჭრობაში უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმი, იგი პრეზიდენტს ურჩევს ვეტო დაადოს ამ კანონპროექტს.

საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში, თქვა მან, ჩვენ ვახორციელებთ დაძაბულობის შენელების პოლიტიკას, ვინაიდან ჩვენ ორ ქვეყანას ეკისრება პასუხისმგებლობა ატომური ომის კატასტროფის თავიდან აცილებისათვის. ჩვენ ვცდილობთ, რომ სსრ კავშირთან ურთიერთობა ავაგოთ უფრო სტაბილურ საფუძველზე და ვხელმძღვანელობთ იმით, რომ ეს ურთიერთობა უნდა ვითარდებოდეს ფართო ფრონტით.

საბჭოთა კავშირისათვის უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმის მინიჭება, — ხაზგასმით აღნიშნა სახელმწიფო მდივანმა, — პრივილეგია კი არა, არამედ ჩვენი პოლიტიკის დისკრიმინაციული ასპექტის უკუგდებაა, ურომლისოდაც შეუძლებელია პროგრესი ვაჭრობის ნორმალიზაციაში. ამ რეჟიმის მინიჭებაზე უარის თქმას მოჰყვება პოლიტიკური შედეგები, საეჭვოდ გახდის ჩვენს განზრახვას კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ ურთიერთობა, ძირს გამოუთხრის ყველა დარგში, მათ შორის ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოწესრიგების დარგში მიღწეულ მცირეოდენ მიღწევებს. ეს ხელს შეუშლის ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო შეთანხმებების განხორციელებას.

სახელმწიფო მდივანმა შემდეგ განაცხადა, რომ მთავრობა სავაჭრო რეფორმის კანონპროექტის იმ შესწორებების წინააღმდეგია, რომლებიც წარმომადგენელთა პალატამ მიიღო, რადგან ისინი ქმნიან ბარიერებს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვაჭრობის ნორმალიზაციის გზაზე. მან მოუწოდა სენატორებს პასუხისმგებლობით მიუდგნენ კანონპროექტის განხილვას.

უცხოეთის პრესა ჩინეთის მდგომარეობის შესახებ

კუალა-ლუმპური. არის იმის სულ უფრო მეტი ნიშნები, რომ ჩინეთი უახლოვდება ქაოსს, არეულობასა და ძალადობას, რომლებიც გამეფებული იყო ქვეყანაში „კულტურული რევოლუციის" პერიოდში, წერს მალაიზიის „სტარი". მასობრივ თავყრილობებსა და „კრიტიკის კრებებს", აღნიშნავს გაზეთი, რომლებიც ახლა მთელ ჩინეთში იმართება, უმაგალითო მასშტაბი აქვს, ხოლო ოფიციალური პრესა და რადიო კვლავ ავრცელებენ „კულტურული რევოლუციის" დროის აგრესიულ მოწოდებებს. ახლანდელი პოლიტიკური მოძრაობა ჩინეთში, წერს გაზეთი, ასახავს ხელისუფლებისათვის ბრძოლას სხვადასხვა დაჯგუფებას შორის ჩინეთის ხელმძღვანელობაში, რომლებიც ამ მოძრაობას იყენებენ როგორც თავიანთი მიზნების მიღწევის საშუალებას.

ლონდონი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ჩინეთში გააქტიურდა „მასობრივი კრიტიკის" კამპანია, რომელმაც თავისი გამოხატულება ჰპოვა კულტურის სფეროს იმ მოღვაწეთა ჯგუფზე თავდასხმებში, რომლებიც ცდილობდნენ შეერყიათ მაო ძედუნის „რევოლუციური ხაზი".

თავდასხმების ობიექტი გახდნენ ახალი ოპერის „ტაოფენის სამჯერ ნახვის" ავტორები და თაყვანისმცემლები, რომლებსაც თავს ესხმიან იმისათვის, რომ ისინი მხარს უჭერენ ლიუ შაო-ცის, ჩინეთის სახელმწიფოს ყოფილი მეთაურის პოლიტიკას, რომელიც ხელისუფლებას ჩამოაშორეს „კულტურული რევოლუციის" დროს.

ნიუ-იორკი. „ნუთუ ბეთჰოვენის მუსიკა მართლაც ნაწილია ბოროტი შეთქმულებისა, რომელიც მიზნად ისახავს ძირი გამოუთხაროს დიდ პროლეტარულ რევოლუციას?" — წერს თავის სტატიაში „ნიუ-იორკ დეილი ნიუსი". თუ ყველაფერს დავუჯერებთ, რაც ამ დღეებში ჩინეთიდან ისმის, აღნიშნავს გაზეთი, ეს მართლაც ასეა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა „ახლა განიცდის თავის ერთ-ერთ იდეოლოგიურ ბუმს. უკეთეს შემთხვევაში ეს არის აბსურდის თეატრი, უარეს შემთხვევაში ეს შეიძლება გადაიქცეს სისხლიან აბანოდ მთელი ქვეყნის მასშტაბით".

გამოხდომები კონფუცის, ძველი დროის ბრძენის წინააღმდეგ, რომელსაც ორ-ნახევარი ათასი წლის წინათ არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო წინასწარ განეჭვრიტა მაოიზმის კოშმარი, მხოლოდ „შირმაა" კამპანიისათვის ვერაგი პრემიერის ჯოუ ენ-ლაის წინააღმდეგ, ნათქვამია სტატიაში. ჯოუ ენ-ლაის წინააღმდეგ ამხედრდნენ ძიან ცინი, მაო ძე-დუნის ცოლი, და „წითელი დაცვის" ნაშთები, რომლებიც ასე გამოავლდნენ „კულტურული რევოლუციის" დღეებში 60-იანი წლების დამლევს.

ბელგრადი. „ვიესნიკ უ სრიედუ" სტატიაში „ცოცხლებს ესვრიან პოლიტიკურ მიცვალებულთა ზურგს ამოფარებულნი", აღნიშნავს, რომ „ჩინეთის კულტურული რევოლუციის ახალი ზვირთი", რომელიც ყველაზე უფრო თავს ატყდება კონფუცისა და ლინ ბიაოს, აშკარად უმიზნებს სხვა „გამოლინებებსა და პიროვნებებს თანამედროვე ჩინეთში".

ჩინეთის „კულტურული რევოლუციის" ახალი ფაზა ეს-ეს არის დაიწყო, და ახლა ძნელია იმის მიხვედრა, თუ როგორი იქნება მისი განვითარება და მასშტაბი. არ არის გამორიცხული, რომ საქმე ნამდვილად ეხება მნიშვნელოვან ბრძოლას ჩინეთის პარტიულ და სახელმწიფო ზედაფენებში, შესაძლოა ჯოუ ენ-ლაისა და შანქაის პარტიულ ჯგუფს შორის, ხაზს უსვამს იუგოსლავიის გაზეთი. (საკდესი).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

სიცოცხლის ჯილდოზე



გამოჩენილი ქართველი მწერალი კონსტანტინე ლორთქიფანიძე ამჟამად მუშაობს თავისი ცნობილი რომანის „ნატვრისთვალის" მესამე ნაწილზე. ჩვენი მკითხველი უკვე იცნობს ამ რომანის პირველ ორ ნაწილს, სადაც ასახულია დიდი სამამულო ომისწინა და ომის შემდგომი ქართული სოფელი, მესამე ნაწილი კი მოგვითხრობს ჩვენი ცხოვრების 50-იან წლებზე.

მკითხველს ვთავაზობთ ერთ ახალ თავს „ნატვრისთვალის" მესამე ნაწილიდან.

I.

— ნუ გეშინის, ჩემო ზაქრო, გამარჯვებულ კაცს თორმეტი ნათლია გამოუჩნდება, დამარცხებულს კი ხმის გამცემიც ენატრებაო! — სთქვა ჩოხელმა, თუმცა სანამ სიტყვას დაამთავრებდა, უკვე მიხვდა, რომ პასუხი არ უვარგოდა.

ქერის ორმოში არასოდეს არ უცხოვრია სიმონ ჩოხელს: რამდენი წელიწადი ყელგადაგდებული დაეხეტებოდა კარიდან კარად, — ამ უმეცარო ანდაზის კვალზე კი ერთხელაც არ გაუვლია. მაშ ახლა რა ეკლმა უჩხვლიტა! განა არ იცის, ამ მაცდურ ბილიკს მხოლოდ სახელწატყუარი კაცი ეტანება...

ჩოხელმა სკამი უკან მისწია, თაროდან მრგვლად დახვეული ნაცრისფერი თაბახი ჩამოიღო, მაგიდაზე ტყაპუნით გაშალა და ნადიბაიძეს თავი დაუქნია, ახლოს მოდიო. ეს ყველაფერი ისე სულსწრაფად გააკეთა, თითქოს ეშინოდა, იმ წელანდელმა ფიქრმა ისევ არ დამჯაბნოს და ზაქარიამ ყოყმანი არ შემატყოსო.

მაგიდაზე დაფენილი თაბახი ერთბაშად თითქოს გაცოცხლდა, — ჯერ ერთი მხარე წამოსწია, მერე მეორეც აყოლა და ორლულიანი თოფივით დამრგვალდა.

„შენ მაინც დადექ, შე დასაწვავო!" — გაიფიქრა ჩოხელმა და მაგიდის უჯრაში ჭიკარტებს დაუწყო ძებნა. არჩილიც მიეშველა, აცეცებული ქაღალდი ისევ გაშალეს და კედელზე გააკრეს. კალოთუბნის მინდვრების რუკა იყო, მაშინვე შეიცნო ნადიბაიძემ. სახნავ-სათესი მიწა, სათიბები, საძოვრები, ნარეკვავის ჯაგნარებიც კი აქ ისე უბრალოდ და ლამაზად იყო მიწყობილი ერთმანეთზე, რომ ზაქარიას გულში გაეცინა: ქაღალდზე რა ადვილი იყო ყველაფერი!

— მე ეგ რად მინდა, ამხანაგო სიმონ! შირაქში სად რა ფერის ქვა აგდია, ისიც კი ვიცი, — სთქვა ნადიბაიძემ, მაგრამ ზრდილობის გამო რუკასთან მაინც მივიდა.

— მჯერა, ჩემო ზაქრო. შენ მხოლოდ ერთი რამ გავიწყდება, რომ პურს ხალათის კალთაში ვერ ჩაითესავ! მიწა მინდა!

— რაც არა მაქვს, არა მაქვს, ამხანაგო სიმონ! — მტკიცედ მიუგო ნადიბაიძემ.

კალოთუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მამაღმერთიც რომ ყოფილიყო, სიმონ ჩოხელი მაშინაც კი საქმეს საბოლოოდ არ გაიხდიდა: თავისას ეტყოდა და სამანს იქვე დაუდებდა. კაი-ყმის შვილი იყავ და ჩოხელის სიტყვას მიწაზე დააგდებდი! მაგრამ ახლა ნადიბაიძესთან ჭიქურად ლაპარაკი რომ არ ივარგებდა, ეს წელან ჩოხელმა თვითონაც დაინახა, კაბინეტში „გლეხის იმედის" თავმჯდომარე რომ შემოვიდა.

„მე ჩემი ცხოვრების შულო უკვე ამოვახვიე და კუდის ქნევა არ შემფერის!" — ეს ამოიკითხა ჩოხელმა მოხუცის გაურჩებულ თვალებში და მაშინვე უკანდახევა ამჯობინა.

ნადიბაიძის უდიერ პასუხს ყური წაუყრუა, რუკაზე ერთი ადგილი წითელი ფანქრით შემოხაზა და მშვიდად ჰკითხა:

— მაშ ეს რა არის! მიწა არ არის?

— ეგ ჩვენი გარდამავალი საძოვრებია, ამხანაგო სიმონ! მაგ მინდვრების მოხვნა არ შეიძლება! — უთხრა ზაქარიამ.

არ შეიძლება.

ეს ჩოხელმაც კარგად იცის. ივრის პირებზე ნადირევი გაზაფხული რომ დაიწყოს, ცხვარ-ბატკანი აყოლებულ ბალახს მოედება, ნაბარევი დაემართება და ბინებში ცოდვის ლული დატრიალდება.

ჩოხელს ახსოვს, ერთხელ ომის დროს ნაბარევმა იმდენი თოხლი იმსხვერპლა, იორზე ლეშის მთა დადგა. ამიტომ მზე დააჭერს თუ არა, სანამ ბალახს ტკიპი გაუჩნდებოდეს, მეცხვარეები აიყრებიან და მთისაკენ დასძრავენ ფარებს.

მიდიან აუჩქარებლად, ნება-ნება, სამხრამდი სავალს სალამომდე გასჭიმავენ ხოლმე. ცხვარ-ბატკანს წინამძღოლად ყველაზე ფეხმძიმე ვაცებს შეურჩევენ, რადგან მთა ჯერ კიდევ „გამოსული" არ არის, — მაისის ღამეებს თრიალეთის საზაფხულო საძოვრებზე ხანდახან ისეთი სუსხი დაჰკრავს, ძაღლი და მგელი ამაღამ ერთად დაწვებიანო, იტყვიან მეცხვარეები.

წყალიც ისეთი ცივია, ნამგზავრი ფარა ახლოს ვერ გაეკარება, — სტკივარს შეჰყრის. მთაში ასვლა ჯერ არ შეიძლება, მაგრამ ცხვარ-ბატკანს იორზეც აღარ დაედგომება.

გარდამავალი საძოვრები სწორედ ამ გაჭირვების ტალკვესი იყო.

ივრის თონედან გამოქცეულ ცხვარ-ბატკანს სულ რამდენიმე დღის სავალზე დახვდება გრილი ამინდი, ნელცივი წყალი და მარგებელი ბალახი.

ორი-სამი კვირა, სანამ მთაში სიცივე არ გატყდება, ფარები ამ ყალთაღებზე იტრიალებენ, პირუტყვი მოღონიერდება, სიცივეს თანდათან შეეგუება და მერე თამამად შეუდგება გოხნარის აღმართებს.

რაც ეს შირაქი ქვეყანაზე გაჩნდა, გარდამავალ საძოვრებს გუთნის პირი არ უნახავს, მაგრამ ახლა სხვა გზა არ არის, საძოვრები უნდა გაიმეტონ; რაღა მაინცა და მაინც წლევანდელ გაზაფხულს მოეკიდება ცეცხლი და ხორშაკი. ვსთქვათ, მოეკიდა, მაშინ ცხვარ-ბატკანს გზაზე შერიას დაახვედრებენ, ნამჯას მარილწყალში დაასველებენ, რომ უფრო ყუათიანი გახდეს.

— ყური დამიგდე, ზაქრო! შენ ისე განზე იყურები, თითქოს ჩვენ ერთი კერისანი არ ვიყოთ და ერთი ცეცხლისანი! — ჩოხელს უკვე აღარ მოსწონდა თავისი შეუბედავი, მახვეწარი კილო, თანაც ჯავრი მოსდიოდა, მისი თავმოყვარეობის შემლახველ საუბარს ენაშეუნახავი მოწმე რომ ესწრებოდა: — ჩვენ ახლა ყველამ ჩვენი ოჯახის დედაბოძს უნდა მივხედოთ. თუ ის გამოგვეცალა ხელიდან, მერე შენი ცხვარიც და მეცხვარეც კუჭშმშმარი დაგრჩება!

— ამ მინდვრების მოხვნა მაინც არ შეიძლება, ბანი და ერდოც თავზე რომ დაგვექცეს. მე ასე მითქვამს და დანარჩენი შენ იცი, სიმონ! — უთხრა ზაქარიამ.

დაუყოლიებელი კაცი იყო „გლეხის იმედის" თავმჯდომარე, ძალად ნანაოს არავის ეტყოდა, მაგრამ ახლა „მგონი ცოტა მეტი მოუვიდა!" — გაიფიქრა კუთხეში გასუსულმა ყანჩაშვილმა და ჩოხელს გადახედა.

იგი მართლაც არ მოელოდა ამ უსაშველო წინააღმდეგობას. წყენა მაინც არ შეიმჩნია, მხოლოდ ჩუმად ამოიოხრა და ფანქარი მაგიდაზე დასდო.

— მაშ რა ვქნათ, ზაქრო, რა ვუთხრა ცენტრალურ კომიტეტს, — შენი სიტყვა და დადგენილება ჩვენთან აღარა სჭრისო?! — სთქვა ჩოხელმა.

— თუ ის დადგენილება შირაქის საქმეს წაახდენს, რაღად უნდა დაუმალო! ისიც პარტიის ნათქვამი არ არის, ნურაფერს დამიმალავო! — მშვიდად მიუგო ნადიბაიძემ.

ჩოხელს გაეღიმა.

— რამდენი წელიწადია, პარტიაში ხარ, ზაქარიავ!

— ეგ რაღად გინდა?

— ჯერ მითხარი!

— ლენინი რომ გარდაიცვალა, იმ წელიწადს მიმიღეს...

— მერე, შე დალოცვილო, კაცი პარტიაში დაბერდი და ის-კი აღარ იცი, რომ პარტიის წევრი პარტიის დადგენილებას კამათს ვერ დაუწყებს, ასე კი არა, ისე სჯობიაო!

— მიწა თუ არა გვყოფნის, არ უნდა გააგებინო?

— მე ერთი რამ ვიცი, ჩემო ზაქრო, ცენტრალური კომიტეტის დადგენილება უსიტყვოდ უნდა შევასრულოთ, თორემ მერე აქედან გუდა-ნაბადი უნდა ავიკრა! — უთხრა ჩოხელმა.

„ეგრე გეთქვა, შე კაი-კაცო! შენ ცხვარი კი არ გეცოდება, შენი ადგილის დაკარგვა გენანება!" გაიფიქრა ნადიბაიძემ.

და თითქოს ნაფიქრალს მიუხვდაო, ჩოხელი უცბად წამოენთო:

— შენ ტყუილად გეცინება, ზაქარიავ, დაიხსომე ჩემი სიტყვა!

ნადიბაიძე შეცბა.

— აბა ეგ რა სათქმელია, სიმონ! — წაიბუზღუნა მან.

გულწრფელმა კაცმა მეტი ფხა ვერ გამოიჩინა, — როყიოდ ნათქვამ სიტყვას მარჯვე პასუხი ვერ შეაგება.

ჩოხელმა ისეც გაუგო. კედლიდან რუკა ჩამოხსნა და ნადიბაიძეს გაუწოდა.

— წაიღე და ამაღამ სასთუმალში ამოიდე, იქნებ კარგი სიზმარი ნახო და გული ჩვენსკენ მოგიბრუნდეს! — ისევ დაუტკბა ჩოხელი, ვითომ კიდეც გაეხუმრა, რომ ზაქარია გულნატკენი არ გაეშვა.

ზაქარია ნადიბაიძეს კი შუბლი არ გაუხსნია, რუკა ისე გამოართვა და აუჩქარებლად დაახვია.

— კარგად ბრძანდებოდეთ! — სთქვა მან.

არ უნდოდა ბერიკაცს, რომ ასე უგულოდ დაშორებოდა სიმონ ჩოხელს, მაგრამ ვერა და ვერ მოიცილა ის ერთი აჩემებული აზრი: ჩოხელი სხვისი ფეხის ხმას აჰყვა და გულახდილ საუბარს პირი მოარიდაო.

წავიდა. კარი ისე გაიხურა, თითქოს მომაკვდავი ავადმყოფის ოთახიდან გადიოდა.

ვერ აეწყო მათი დღევანდელი სიტყვა-პასუხი, — ეს, რა თქმა უნდა, ხელს აძლევდა არჩილ ყანჩაშვილს, მთელი ერთი საათი დამუნჯებული რომ იჯდა კუთხეში მიდგმულ პატარა მაგიდასთან და ვითომ სამინისტროდან მოსულ საბუთებს ჩაჰკირკიტებდა.

ერთი სიტყვა და... პირში ალის ქარი ჩაუვარდება „გლეხის იმედის" თავმჯდომარეს, მერე იქნებ თვითონ შეეხვეწოს სიმონ ჩოხელს, საძოვრები კი არა, ცხვარ-ბატკნის სავალი ბილიკიც კი წაიღე, ოღონდ ეგ ერთი ცოდვა შემინდეო.

თუმცა რა ცოდვა?

ის სამარცხვინო ამბავი რომ დატრიალდა, ზაქარია იმ დღეებში თელავში გაგზავნეს რაღაც თათბირზე... განზრახ მოაშორეს იქაურობას, მაგრამ ქვეყანა რომ აირევა, მერე ცოდვა-მადლის გამკითხავი ვინ არის! ამტკიცე რამდენიც გინდა, აზრი ვერაფერზე ავიღე, თორემ სოფლიდან ფეხს როგორ მოვიცვლიდიო...

ვინ დაგიჯერებს!

„ოჯახის უფროსმა არ უნდა იცოდეს, შენს კარმიდამოში რა ხდება?!" გეტყვიან და ცამდე მართალიც რომ იყო, პირზე ცხრაკლიტულს დაგადებენ.

კალოთუბანში კი მართლაც გაუგონარი ამბავი მოხდა. შარშან, სანამ „გლეხის იმედის" თავმჯდომარედ ზაქარია ნადიბაიძეს აირჩევდნენ, კოლმეურნეობას ათას ორასზე მეტი ცხვარი დაეხოცა. მთიდან დაბრუნებისას ჭაჭლა გაუჩნდა და ჯერ კიდევ ზამთრის პირზე სამი ფარა თითქმის განახევრდა.

როგორც კი პირმა თავი იჩინა, არჩილ ყანჩაშვილმა ერთი სისხამი დილა შეარჩია, წითელი დათა სადგომიდან გამოიხმო, მანქანაში ჩაისვა და წიფლის წყაროსაკენ გაუტია.

ფერმის გამგე ჯერ კი დაფრთხა მრისხანე სტუმრის დანახვაზე.

„შემაგდებს ახლა თავის კაბინეტში, ქვეყანას შემიყრის და გულად ამომიღებს!" — გაიფიქრა პირგანაცრებულმა დათამ.

მართლაც, ყანჩაშვილს არაფერი ისე არ უყვარდა, როგორც ხელქვეითების დატუქსვა და შეხურება რაც შეიძლება მეტი ხალხის თანდასწრებით, მაშინ რატომღაც ჭკუაც უფრო ერჩოდა და სიტყვასაც ლამაზად ათამაშებდა. იმას კი აღარ ანგარიშობდა, რომ ასეთი განუკითხაობა ადამიანს უფრო აღიზიანებდა და ავებდა...

— საბუთი არაფერი წამოვიღო? — წაიბურდღუნა წითელმა დათამ, ვიდრე მანქანაში ჩაჯდებოდა.

— არ გინდა, — უთხრა ყანჩაშვილმა.

— არც ბეითლის ქაღალდი?

— ქაღალდი ვითომ დახოცილ ცხვარს ფეხზე წამოაყენებს? — ჩაიცინა ყანჩაშვილმა, მაგრამ არც ეს ჩაცინება და არც მისი პასუხის კილო გულზე ცუდად არ მოხვედრია წითელ დათას.

სტუმარმა დაილაპარაკა თუ არა, ხმაში რაღაც ისეთი რბილი, დაუგრეხავი ძაფი გამოერია, წასაკიდებლად მოსულ კაცს იგი არა ჰგავდა.

წითელ დათას გულზე მოეშვა, ტალახიანი ჩექმები ღობის ძირში მირჩენილ ბალახზე გაუსვ-გამოუსვა და ყანჩაშვილს გვერდზე მიუჯდა.

— როგორ ჩაიარა თათბირმა! — ჰკითხა ყანჩაშვილმა.

— როგორც ყოველთვის, წყნარად და მშვიდად. ვუმტკიცებდით ერთმანეთს, რომ ყველაფერი კარგად გვაქვს და ხვალ უფრო კარგად გვექნება! მეტრეველმა ისეთი სიტყვა უთხრა არსენა ლეკაშვილს, ისეთი ქება-დიდება, — პირჯვარი კინაღამ გადავიწერე იმდენ ხალხში!

— პირში ღუმა, ზურგში დანაო, არა! — ჩაიცინა ყანჩაშვილმა.

დათამაც ჩაიხითხითა და მერე სთქვა:

— ნეტავი თუ დადის ამ ცის ქვეშეთში ისეთი კაცი, ბოლომდე გულახდილი რომ იყოს! სულში ისე ჩაგახედოს, არც ერთ კუნჭულს ხელი არ დააფაროს!

არჩილმა ისევ ჩაიცინა.

— მაშინ ეს წუთისოფელი ნამდვილ ჯოჯოხეთად იქცეოდა, ჩემო დათავ! ჩვენ რომ ვიცოდეთ, გულში ერთმანეთზე რას ვფიქრობთ, ადამიანი ადამიანს ყელში სწვდებოდა; ყველაფერი არ ვიცით და არც უნდა ვიცოდეთ, — ამაზე დგას ეს ქვეყანა!

— აი მეც მანდა ვარ! — უთხრა დათამ.

ფარეხებს რომ გასცდნენ, ყანჩაშვილმა გზიდან გადაუხვია და მანქანა ნაწვერალზე გადააყენა.

— ცოტაზე ფეხით გავიაროთ. სიტყვა მაქვს შენთან! — სთქვა ყანჩაშვილმა.

ერთი-ორი წუთი ჩუმად მიაბიჯებდნენ ჯერ კიდევ გაუმშრალ მინდორზე.

აფუებული მიწა თივთიკის ლეიბსა ჰგავს. ფეხს დაადგამ — ჩაიზნიქება, მერე ნელა-ნელა ისევ ამოიწევა.

ლეკიმთიდან მოდენილმა ნიავქარმა ხევში ჩაგუბებული ჯანღი ბოლქვა-ბოლქვად ამოჰყარა მიწისპირზე. ნისლი თანდათან გაიშალა და ცხვრის ფარასავით მოება ავდრისაგან გამავებულ ფერდობს.

როდესაც ორმა კაცმა იცის, რომ ორივენი უწმინდურები არიან, ისინი კარგად ეწყობიან ერთმანეთს, ჭირი და ლხინი ერთი აქვთ. ერთმანეთის დაუკითხავად წყალს არ გადააქცევენ, მაგრამ როგორც კი ერთი შეეცდება თავი პატიოსნად მოაჩვენოს მეორეს, მათი ძმობა და მეგობრობა იმწამსვე გათავდება... სამუდამოდ შეიძულებენ ერთიმეორეს ისეთი ჩუმი, გაუნელებელი სიძულვილით, ადამიანს გულში სიკეთის ნიშანწყალსაც რომ აღარ დაუტოვებს.

სწორედ ამგვარად სძულდათ ერთმანეთი ყანჩაშვილს და წითელ დათას. მაგრამ ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს, — ეშმაკები ერთმანეთს მტრობენ, კაცის წასახდენად კი ერთდებიანო, — ისინიც ამ რჯულზე იდგნენ. სოფლის თავში მათი მოქიშპე რომ გამოჩნდებოდა, წითელი დათა მაშინვე მხარს აუბამდა ყანჩაშვილს, ან ყანჩაშვილი წითელ დათას, და როდესაც იმ მესამე კაცს წააქცევდნენ, მერე ისევ ერთმანეთს ჩაუსაფრდებოდნენ.

„ნეტა რა უნდა, რომ გამოაგდო სახლიდან ამ ძაღლის ალიონზე?" — ფიქრობდა წითელი დათა.

საშიში კაცი იყო არჩილ ყანჩაშვილი, უფრო საშიში, ვიდრე მარტო დატოვებული ცეცხლი.

შენი ორი თვალი და ორი ყური ყოველთვის როდი კმაროდა მისი ქვებუდანა სიტყვა-პასუხის ამოსაცნობად. ეს იცოდა წითელმა დათამ და თავში ათასგვარი ფიქრი უტრიალებდა, გეში კი ვერაფერზე მიეტანა. ყანჩაშვილის დამტკბარმა ხმამ მთლად დაუკარგა გულისხმიერება.

ბოლოს ვეღარ მოითმინა და ჩაცინებით ჰკითხა:

— სად მიგყევარ, არჩილ, ამ წკვარამში! მოკვლას ხომ არ მიპირებ!

არჩილი შეჩერდა, ცივი, ნაცრისფერი თვალები ოდნავ მოჭუტა და სიცილითვე მიუგო:

— რაო, დათავ, უკვე აივსო ცოდვით შენი ხურჯინი?!

— ეჰ, ჩემო არჩილ, პატარა კაცის ხურჯინში ყველა იჭვრიტება, ვისაც მოეპრიანება! აბა ერთი დიდი კაცების ხურჯინშიაც ჩაიხედონ! აა, სეირი ის იქნება, მაგრამ ვინ არის ჩამხედავი! ციდან მამა-ღმერთი რომ ჩამოვიდეს, ამ ქვეყანას ისიც კი ვერ გაასწორებს.

არჩილმა ისევ ჩაიცინა და სთქვა:

— არც ვარგა, რომ გასწორდეს... ცხოვრებას ეშხი დაეკარგება! სულ მუდამ სწორი და პირდაპირი გზა მოსაწყენია, ჩემო დათავ! ხანდახან გზიდან უნდა გადაუხვიო, აქეთ-იქეთ მიიხედო, თორემ ყველაზე მსუქან ნაჭერს სხვები ჩამოათლიან ამ ცხოვრებას! შენ კი ყურებიდან ბამბას გამოგიღებენ და გეტყვიან, ამ ადგილს, ამხანაგო, ტყუილად აფუჭებო... და კულტურის სახლის დირექტორად დაგანიშნავენ! გიტარა კი არ იქმები, ჩემო კარგო. ეგ შენ ჩემზე კარგად იცი!

— ნასწავლი კაცი ხარ, არჩილ, სიზმარიც დაგვეჯერება! — მორჩილად მიუგო წითელმა დათამ.

— ხომ ხედავ, ჩვენ ახლა ორნი ვართ. მარტო ორნი. ახლომახლო ხეც კი არსად სჩანს, რომ მერე მოწმედ დაიყენო! გაიგე, რას გეუბნები! — სთქვა ყანჩაშვილმა.

— მოწმე და მოსამართლე ღმერთმა ნუ გააჭაჭანოს მე და შენს შუა!

— მაშ ყური დამიგდე! ამ წელიწადმა ყველაფერში გაგვიმართლა. პურიც ბევრი მოვიდა, ყურძენიც, თამბაქოც, მზესუმზირაც... ყველი და კვერცხი ხომ იყო და იყო! მხოლოდ ცხვარმა გამოგვჭრა ყელი!

— მე რა შემიძლია, არჩილ, — მხრები შეიშმუშნა წითელმა დათამ: — შენი თქმისა არ იყოს, იმ ცხვარ-ბატკანს ვერ გავაცოცხლებ და...

— გავაცოცხლებთ, გავაცოცხლებთ, თუ ჩემს სიტყვას ენდობი! — უთხრა არჩილმა და მოსაუბრეს პირდაპირ თვალებში შეხედა.

ო, როგორ ეჯავრება წითელ დათას ეს ცივად ელვებული, ნაცრისფერი თვალები, — ამოსუნთქვას არ დაგაცლის, რომ ტყუილის მოგონება ან სიტყვის გადათქმა ვერ მოასწრო.

გაგიცინებს, გაგეხუმრება, მხარზე მეგობრულად ხელს დაგადებს, მაგრამ მისი მბურღავი თვალები ერთხელ რომ მოგაცქერდება, მერე აღარ მოგშორდება: თითქოს ტვინში უნდა შეიჭრას და შენი ფიქრი დაინახოს.

ცხოვრებაში ხშირად ხდება ხოლმე: ადამიანს შეხედავ თუ არა, ერთ ლანდზე გამოიჭერ მისი ხასიათის მთავარ ძარღვს.

ზოგჯერ ერთი რაიმე ნიშანი გაგიმხელს ამ საიდუმლოებას: ხმაში ჩაკეცილი რომელიღაც ძაფი, წამიერი გამოხედვა, ან კიდევ ტუჩების წყობა.

ხშირად ტუჩების წყობა უფრო მეტყველია, ვიდრე, მაგალითად, თვალები.

არჩილ ყანჩაშვილმა ისეთი დაჭიმული სიარული იცოდა, წითელმა დათამ მაშინვე გულში გამოისკვნა, ამ კაცს ყოყმანი და უკანდახევა არ ეცოდინებაო. წინ უეცრად ორმო რომ დახვდეს, — განა შემოუვლის, ამ ორმოს გადაახტება და გზას განაგრძობსო.

წითელი დათა არ შემცდარა. შორიდან შემოვლა და უხიფათო ბილიკის ძებნა, არჩილ ყანჩაშვილის დავთარში არ ეწერა. არ სცალოდა. ნასროლი ქვისა არ იყოს, გვერდზე არ გაუხვევდა.

„ამ საშინელ კაცთან ეშმაკობა არ გამოდგება! — გადაწყვიტა ერთხელ წითელმა დათამ და ამ გზას ბოლომდე მიჰყვა: თითქმის აღარაფერს უმალავდა.

— ასეთი ქაღალდი მეორე აღარ გამოგზავნო ილმასკომში! არც სამინისტროს მისწერო. — ყანჩაშვილმა ჯიბეზე ხელი გაიკრა და ორად გაკეცილი, დაჭმუჭნული კონვერტი ამოიღო.

— რა ქაღალდი?! — უცბად ვერ მიხვდა წითელი დათა.

— ცნობა, ამხანაგო, ცნობა, ამ თვეში ამდენი სული ცხვარი დამეხოცაო! — ხმას აუწია ყანჩაშვილმა: — გაიგე, რას გეუბნები!

— რას ამბობ, არჩილ, ამდენი ზარალი კი არა, ერთი შაქიც რომ დავკარგო, იმ დღესვე უფროსებს უნდა შევატყობინო! — უთხრა დათამ.

— გამიგონე, კაცო, — თითქოს ოდნავ მოლბა ყანჩაშვილი: — ჩვენ ახლა რაიონს უნდა ვუშველოთ! ცოტა ხელი თუ არ შევუწყეთ, ხალხში გამოსაჩენი პირი აღარ გვექნება. კარგი იყო, ეს შავი დღე არ დაგვდგომოდა! ახლა კი რა გზა გვაქვს! შენ გაჩუმდი და იყავი შენთვის! ჩვენც ვითომ არაფერი გაგვიგია!

— ეს რა გაცოცხლებაა, არჩილ! მკვდარი პირუტყვი სალ-სალამათად მივითვალო ამ დასაწვავ ქაღალდზე? მერე ეს ქაღალდის ცხვარი გაიკრიჭება, მოიწველება თუ რა! საცემბიეროდ გამწირე, შე კაი-კაცო! — წითელი დათა ცდილობდა რაც შეიძლება მეტი საყვედური და გულისტკენა ჩაეწნა ამ სიტყვებში.

— რომ შეგაშინა, დათავ! მაგას ვინ დათვლის, ახლა რამდენი კანტორის დავთარში სძოვს ეგეთი ცხვარი და ძროხა! თუ ისინი იწველებიან, ჩვენსას რა ღმერთი გაუწყრება?! — მშვიდად მიუგო ყანჩაშვილმა: — გაიგე, რას გეუბნები!

— ვერ გავიგე, მომკალი თუ გინდა! — უთხრა დათამ. მან უკვე დაიცა სუნი, ამ გულახდილ ლაპარაკს დიდი ამბავი უნდა მოჰყოლოდა და ერთხელ კიდევ შეახსენა თავის თავს, ვიდრე საქმეს ძირი არ გამოუჩნდება, ენა დაიმოკლეო.

— არ გამაჯავრო, დათავ! გეყოფა თავის მოსულელება! რა არის აქ გაუგებარი! ეგ ზარალი უნდა დაიმალოს, ვითომ ერთი ცხვარიც არ დაცემულა! მაშინ არაფერში ჩამორჩენა აღარ გვექნება! დროშა ისევ ჩვენ დაგვრჩება! მერე დადექი, დალოცვილო, და შეუშვირე კალთა პრემიებსა და ჯილდოებს.

— კი, მაგრამ ეს ზარალი გაისად როგორღა ავანაზღაუროთ? ამდენი ცხვარ-ბატკანი სულ ქაღალდზე ხომ არ იბალახებს! — მაინც ჰკითხა წითელმა დათამ, თუმცა თავადაც კარგად იცოდა, ამ საზარო საქმეს საიდან შემოუვლებოდა.

— შენ გაისამდე მაღროვე და მერე ნურაფრისა გედარდება! გაისად ტყუპების ხარჯზე ირლად გამოვალთ! ყველა ტყუპის დედები ახლავე გადაარჩიე და არაფერი მოაკლო, რომ კარგი დოლი ავიღოთ! ეს ხალხი რომ გაიხარებს და წელში გაიმართება, მეც ეგ მიხარია, თორემ სხვა რა?! მართალია, ქონება ბანში არ ამომდის, მაგრამ ტყლურჭე პირიპური ჯერ სანატრელი არ გამხდომია. რაცა მაქვს, იმითაც კმაყოფილი ვარ. მე ჩემთვის ნემსის შვილიც არ მინდა ზედმეტი, ოღონდაც ხალხი არ დარჩეს გულდაწყვეტილი, ამდენი შრომა წყალში არ ჩაეყაროს!

ამ საუბარს გარეშე კაცი რომ დასწრებოდა, უეჭველად იტყოდა, ნეტავი იმ კუთხე-სოფელს, შენისთანა ქომაგი და მოსარჩლე რომ ეყოლებაო.

კარგა დაჭყვრელი მწყემსი ჩონგურს ხელდახელ რომ მომართავს და გულშიჩამწვდომად აალუღუნებს, არჩილ ყანჩაშვილიც ასე ააწყობდა ხოლმე თავისი ხმის ლარებს და ისეთ ბაქებს გამლიდა, მისი ფუჭეული სიტყვა სიწრფელის ცალი და ანათალი ეგონებოდა კაცს.

— ყველაფერს გავაკეთებ, არჩილ, გაუჩენელს გავაჩენ, ოღონდ...

წითელი დათა გაჩუმდა. უთხრას თუ არ უთხრას! აღელვებისაგან სტაფილოსფერ ლოყებზე მუქი ტალღები გამოაყარა. იგი ვერ იტანდა, როდესაც ყანჩაშვილი მასთანაც თვალთმაქცობდა.

— რა გინდა, მითხარი! — არჩილმა ჯერ კიდევ ვერ შეატყო, რომ წითელ დათას რაღაც ფორიაქი შეუდგა.

— თუ კაცი ხარ, ხალხის სახელით ნუ მელაპარაკები! ჩვენ ხომ ვიცით, რა კოჭებიცა ვართ! ერთმანეთს მაინც ნუღარ მოვატყუებთ, მთლად ნუ დავკარგავთ სირცხვილს! თორემ მეტი აღარ შემიძლია! ყველა ძაღლი და მამაძაღლი ხალხის ზურგს ეფარება, რომ შავი საქმე გამაკეთებინოს! აღარ შემიძლია... ავდგები და ვიყვირებ, ვიბღავლებ, ცრუ-კაცი ვარ, თაღლითი ვარ! მე აქ რა მინდა... ჩემი ადგილი ციხეშია...

სიტყვის დასრულება ვერ მოასწრო, ყანჩაშვილმა ხელი მოიქნია და სტაფილოსფერ ფუნთუშა ლოყაზე ისეთი სილა შემოჰკრა, ხუთივე თითი ზედ მიაბეჭდა. ეს ვეება კაცი გვერდზე გადაექანა და წაბარბაცდა. ფეხი ძლივს მოიკიდა სველ ბალახზე. მერე ლოყაზე ხელი მიიდო და საცოდავად მოიკუნტა. არც თავი აუწევია, არც ხმა გაუღია.

მინდორში კაცის ჭაჭანი არ ისმოდა. არჩილმა მაინც მიიხედ-მოიხედა.

„კიდევ კარგი, შოფერი არ წამოვიყვანე!"

მისი შემხედველი ვინ იტყოდა, ახლა ამ მოწიფულმა ვაჟკაცმა გაუგონარი სისაძაგლე ჩაიდინა, დროულ კაცს ხელი შემოჰკრაო. როგორც ბანქოს გამოცდილ მოთამაშეს ვერ შეატყობ, ხელში რა ქარტი უჭირავს, არჩილ ყანჩაშვილის თვალპირიც ისევე უტყვი და უძრავი იყო ამ წუთში, — არც სინანული, არც ზიზღი ან მღელვარება... არაფერი ზედ არ ეწერა. იდგა ამ ტრიალ მინდორში და მშვიდად შეჰყურებდა თავჩაქინდრულ დათას, თითქოს მისთვის კი გამარჯობის მეტი არაფერი ეთქვას.

მხოლოდ როცა დაილაპარაკა, თვალებში ისევ იმ ცივმა ელვამ გაურბინა.

— გეყოფა ჭკუის სასწავლებლად? — წყნარად ჰკითხა ყანჩაშვილმა.

— მეტის ღირსიცა ვარ! მე თვითონ არ ვიცი, რა დამემართა! დავიღალე, არჩილ! — უთხრა დათამ.

ის უკვე გონს მოვიდა... და მიხვდა: წამით, სულ ერთი წამით თავისი თავი ხელიდან გაუსხლტა, ენას კბილი ვერ დაადგა და არსათქმელი წამოჰყარა. ასეთი რამ ჯერ არ დამართნია წითელ დათას, — ალბათ, ამას არც აპატიებენ. ყანჩაშვილის წრის ხალხს არ უყვარს, კაცმა თავისი საზღვარი რომ არ იცის.

— მერე, შე კაი-კაცო, ციხეზე უკეთესი ადგილი ვერ მონახე დასასვენებლად? — უთხრა არჩილმა: — ახლა კი წავედით. მე ჩემი გითხარი და შენ შენი იანგარიშე!

— რაღა უნდა ვიანგარიშო! ამოჩენა მორევში რომ შეხვალ, მერე იქიდან ეგრე ადვილად ვერ გამოტოპავ, განა არ ვიცი! — სთქვა დათამ.

არჩილმა ხმა არ გასცა. ელოდა, კიდევ რას იტყოდა წითელი დათა.

რაცა სთქვა, ისა არ კმაროდა.

— ლეშს სად ჯანდაბას წავიღო! ნაცრი ცოტა შორს არის, თორემ იქ აჯობებდა! — პასუხი არ დაუგვიანა დათამ.

ეს უკვე დასტური იყო.

— მანქანას მოგაშველებ, — უთხრა არჩილმა: — ოღონდ მიწა მაინც უნდა დააყარონ! გაზაფხულზე კი ნიაღვარი ხევში ჩაიტანს და... ყველაფერი ჩაიფარცხება! შენ მხოლოდ ცოტა დაწყნარდი, გულჩვილობას თავი მიანებე!

ცოტა ხანს კიდევ ისაუბრეს და ერთმანეთს რომ დაემშვიდობნენ, ფარეხისაკენ მიმავალ დათას ისევ ის ფიქრი აედევნა, ბოლო დროს მოსვენებას რომ არ აძლევდა:

„ქვეყანა შეტრიალდა თუ რა მოხდა, რომ ამ ხალხს არაფრისა აღარ ეშინია! ასე როგორ აიშვეს თავი ცხვრის ტყავში გახვეულმა მგლებმა!"

მერე აბურცულ ლოყაზე ხელი მოისვა და გულში სთქვა: „არა უშავს! თუ გინდა მტერს ჭკუით აჯობო, გველი რომ შეგიშვას, შენ კალმახი შეუშვი!..

ამ ძნელ საქმეს თავი კი მოაბა არჩილ ყანჩაშვილმა, მაგრამ იგი მაინც შეშფოთებული დაშორდა წითელ დათას.

„ამ კაცზე დანდობა უკვე აღარ შეიძლება, მთლად წასულა ხელიდან!" ფიქრობდა არჩილი და შუბლშეკრული გასცქეროდა მანქანის წინ ალაფებულ გზას. ყური ჯერ კიდევ სავსე ჰქონდა მისი ხლიჩინა ხმით: „ვიყვირებ, ვიბღავლებ, ცრუ-კაცი ვარ, თაღლითი ვარ..."

ვითომ სინდისმა შეაწუხა? თუ სიმხდალე მოერია...

მხდალი კაცი კი ყველაზე ბინძური გამცემია ამ ქვეყანაზე. ვინ იცის, როდის გიმუხთლებს.

„ერთი ეს ამბავი ჩათავდეს და... მერე უნდა მოვიშორო! დაუკრეფავში გადასვლა წითელ დათას კი არა, მშობელ მამას არ ეპატიება!"

„უნდა მოვიშორო! მანამდე კი თედოს გავაფრთხილებ, თვალი არ მოაცილოს!"

„შენ იმდენი რამ იცი, წითელო დათავ, ასე ყალალნად ვინ გატარებს დედამიწაზე!"

II.

და მართლაც, ვინ იცის, წითელ დათას წისქვილის ქვას ყელზე როდის შეაბამდნენ, რომ არჩილს მისი თავი ისევე არ დასჭირვებოდა.

ეს მოხდა ნოემბრის დამლევს.

არჩილს უკვე ეძინა, ტელეფონის წკრიალმა რომ გამოაღვიძა. ასე გვიან მხოლოდ ჩოხელი თუ დაურეკავდა ყანჩაშვილს, ამიტომ ყურმილს სწრაფად დაავლო ხელი.

მოისმა ხველება, ვიღაცამ ხმა ჩაიწმინდა, სული მოიბრუნა და სთქვა:

— გამარჯობა, არჩილ!

— რომელი ხარ!

— დათა ვარ.

— ვერ გიცანი, კაცო, ხმაზე!

— გზაში გავცივდი, საბარგო მანქანას გამოვყევი. სიტყვა დამაბარეს შენთან!

— მანდედან ვერ მეტყვი!

დათამ ჩაახველა და პასუხი არ გასცა.

— კარგი წამოდი, — უთხრა არჩილმა.

არ გასულა ნახევარი საათი, ქარისაგან თვალებდაწითლებული, ხმაჩახლეჩილი სტუმარი შუშაბანდში იდგა და ყანჩაშვილს ეუბნებოდა:

— არა, არჩილ, ვერ შემოვალ, გათენებისას იორზე უნდა ვიყო. თუ ამაღამ ცოტა არ გამოვიშუშე, ხვალ კაცად აღარ ვივარგებ! ტელეფონს ვერ ვენდე, თორემ სახლიდან ჩემი გამოსვლა როგორ შეიძლებოდა!

ცუდი ამბავი ჩამოიტანა წითელმა დათამ. ხვალ-ზეგ „გლეხის იმედში" რევიზორები ჩამოვლენ, სამინისტროში ვიღაცას წერილი გაუგზავნია, კოლმეურნეობას ცხვარი დაეხოცა და მალავენო.

— ბიძინამ შემოგითვალა, — ხლიჩინებდა დამფრთხალი დათა და მასპინძელს თვალებში არ უყურებდა: — რევიზორებად ისეთი ხალხი შეარჩიეს, არაფერი მათთან რომ არ გადის! სხვა გზა ეძებეთო!

„ნაქსოვს სადღაც თვალი ჩაუვარდა!" გაიფიქრა არჩილმა, მაგრამ წყენა არ შეიმჩნია, რომ წითელი დათა უფრო არ დაეფრთხო.

არამცთუ ჩოხელი, ის უნდობელი დეისაძეც კი დაარწმუნა არჩილ ყანჩაშვილმა, რომ „გლეხის იმედს" სულ რაღაც ორასიოდე ცხვარი დაეხოცა და ზარალი მაშინვე აანაზღაურეთო.

— მეცხვარეებმა ძველებური რჩხარი გაიხსენეს, ოღონდ გემმა ნუ ჩაგვშლებთ და ულაპარაკოდ შეგავეწიენო! — იმეორებდა არჩილი წითელი დათას ნაჩურჩულევს.

ამ ზღაპარს დიდი გამოძიება და კირკიტი არ დაუწყიათ, რადგან ათი-თორმეტი სული პირუტყვი ყველა მეცხვარეს დაუდიოდა კოლექტიურ ფარაში. „პირადი ცხვარ-ბატკანი", როგორც მწყემსები ეძახდნენ.

— უსახელო წერილია?

— არა. ერთი თქვენებური კაცი ხელს აწერსო

— ვინ არის!

— გვარი არ უთქვამს.

— აბა, შემომხედე!

წითელმა დათამ ამოიოხრა და დაწითლებული თვალები არჩილის თვალებს გაუსწორა.

— არ მჯერა, — სთქვა არჩილმა.

— ბიძინამ შვილები დაიფიცა, არ უთხრაო. — მაშინვე გამოტყდა წითელი დათა: — რად გინდა, არჩილ ტყუილად გულს შესჯდები და მეტი არაფერი! ვინც არის — არის. ჯანდაბას მისი თავი. ჩვენ ახლა ვიფიქროთ, ამ საქმეს რა ეშველება! — ერთი კიდევ გაიბრძოლა დათამ, იქნებ დამიჯეროს და ფიცი არ გამატეხინოსო, მაგრამ არჩილი უკვე მიხვდა, მეგობრები ტყუილუბრალოდ არ დაუმალავდნენ წერილის დამწერის ვინაობას.

— ნუ მახვეწნინებ, დათავ, გავჯავრდები!, ფიცი და ილოცმა რომ სჭრიდეს, ჩვენ აქამდე ცხრაჯერ ჩაგვისკდებოდა დედამიწა!

— იორამ ხუციშვილს მიუწერია!

— ვინ-ის?! — ყურებს არ დაუჯერა არჩილმა: — კუსპარა იორამს?!

— ამიტომ არ მინდოდა მეთქვა!

ვერავითარი მოულოდნელი დაბრკოლება [illegible] თავგზას ვერ აუბნევდა არჩილ [illegible]: „[illegible] რად! ჯერ ათამდე დავითვალოთ!" მაშინვე გამოაფხიზლებდა თავის თავს, და ეს რამდენიმე წამი [illegible] ყოველთვის საკმარისი იყო, რომ ძროხის კუდზე [illegible] ჯავრიან გულს ისეთი არაფერი დასცდენოდა, რასაც მერე უკან ვერ დააბრუნებდი.

იმ ღამეს კი, ხუციშვილის გვარი რომ გაიგონა, ცხრა თოკში გამოვლილმა კაცმაც კი დაკარგა ყველა სათვალავი და ანგარიში.

ჯერ ტელეფონს მივარდა: თითქოს ხელი დასწვაო, ყურმილი იმ წამსვე ორკაპზე დაახეთქა, სკამზე ფაქიზად გადაკიდებული შარვალი დაითრია და სწრაფად ჩაიცვა.

დათა ოთახში შეჰყვა.

— სად მიხვალ, რას აპირებ!

არჩილმა ხმა არ გასცა. ხელები უკანკალებდა, ფეხსაცმელს ზონარი ვერ გაუყარა, თუმცა რა იყო გასაკვირველი...

არჩილი სწორედ იმ წელიწადს ჩამოვიდა წიფლის წყაროში, იორამ ხუციშვილმა მისი მამიდაშვილი ცოლად რომ შეირთო. ახალი მოყვრები მალე დაუახლოვდნენ ერთმანეთს. სანადიროდ, სათევზაოდ, წვეულებაზე მუდამ ერთად დადიოდნენ. კარგად მღეროდნენ, გიტარაზე უკრავდნენ, ენამახვილობდნენ, — ბუხარში რცხილის შეშა ვერ მოილხენდა ისე ხალისიანად, ისინი სუფრაზე რომ მოილხენდნენ.

და კიდევ ერთი რამ იცოდნენ, — ძველად საქართველოში დარბაისელი კაცის წესად რომ ითვლებოდა: სუფრიდან დროზე ამდგარიყვნენ და წასულიყვნენ.

უფრო სასურველ სტუმარს რომელი ოჯახი ინატრებდა.

ერთ ღელეში გამოჭრილი ხარებივით შეეთვისა ეს ორი კაცი ერთმანეთს. მაშ ახლა რა ბნედამ წამოუარა იორამ ხუციშვილს!

— იქნებ შეეშალა ბიძინას!

— ჩემი თვალით წავიკითხე მისი სახელი და გვარი.

— არაფერი დააკლო, არა?!

— ალბათ გააფრთხილეს, ჩვენი უფროსი უსახელო წერილებს არც თვითონ კითხულობს და არც სხვას აკითხებსო...

— ნუ დაფეთდები, დათავ! ყველაფერი კარგად ჩაივლის! — პალტო ჩაიცვა და ქუდის ძებნა რომ დაიწყო, სტუმარი წინ გადაუდგა.

— სად მიდიხარ ამ შუაღამისას!

— კარგად იცი, სადაც მივდივარ.

— ნუ წახვალ, არჩილ! არ გინდა ახლა იმ კაცთან დავა და აყალ-მაყალი. მინისტრმა უკვე მოაწერა ხელი შემოწმების ბრძანებას. ამ დაგორებულ ქვას ახლა ვერაფერი შეაჩერებს!

— გავიგებ მაინც, რას მემართლება, რა უნდა ჩემგან!

— შენგან არაფერი.

— როგორ თუ არაფერი?!

— იორამი დიდი ხანია ჩოხელზე ილესავს კბილს!

— ვიცი, რომ დანა-სისხლად არიან, მაგრამ მე რომელი კოჭაკი ვარ, შუაში რომ გამჭყლიტონ.

— მოიცა, არჩილ, ცოტა მეც დამიჯერე! მომკალი, თუ ხუციშვილმა იცოდეს, რომ ამ საქმეში შენი ხელი ურევია! ან ჩემთან რა ჰქონდა გასაყოფი?! მაგას ჩოხელის ბრალი აბრჩობს, შეიძლება რაღაცას ყური მართლა მოჰკრა და იფიქრა, „მეშველა, ჩემი ოჯახის დამქცევს ყელი გამოვჭერი!" ძალიან გამწარა ჩოხელმა! გახსოვს ის ამბავი!

ახსოვს. იმ დღეს რა დაავიწყებს არჩილ ყანჩაშვილს. პირველად მაშინ გაიგო, რა მიუდგომელი და პირდაპირი კაცი იყო წიფლის წყაროს რაიკომის მდივანი.

ერთხელ ჩოხელი რაიონის ხელმძღვანელი მუშაკების სიას ათვალიერებდა, უცბად თვალში მოხვდა, რომ სასაკლაოს დირექტორად ისტორიის მასწავლებელი იორამ ხუციშვილი მუშაობდა.

ჩოხელი ჯერ გაოცდა, მერე კი ძალიან გაუხარდა, სწორედ ასეთ კაცს ეძებდიო...

იმ დილითვე ხუციშვილი რაიკომში დაიბარა, კარგა ხანს ესაუბრა და როცა ჩოხელს ოდნავ ნაღვლიანი თვალები აუციმციმდა, ეს უკვე კარგი ნიშანი იყო: მოეწონა მისი თავდაჭერილობა, მოფიქრებული სიტყვა-პასუხი.

— ისტორიკოსი კაცი ვინ რეგვენმა გაგზავნა ასეთ სამუშაოზე! ნუთუ ბიუროზე ხმა არავინ ამოიღო, ამ უჭკუობას რომ სჩადიოდნენ! ჩვენ კი აქ პარტკაბინეტის გამგედ საშუალო განათლების კაცი გვიზის! ეგ არის საქმე? — უთხრა ჩოხელმა და საანკეტო ფურცელი წინ დაუდო: — თუ ძმა ხარ, აქვე შეავსე და ხვალიდან სამუშაოდ ჩემთან გამოდი!

— სადაც პარტიას დავჭირდები, ჩემი ადგილიც იქ არის, ამხანაგო სიმონ! — ყოჩაღად მიუგო ხუციშვილმა, ანკეტა ხელდახელ შეავსო და წავიდა.

ყველაფერს იფიქრებდა სიმონ ჩოხელი, მაგრამ თუ ეს ამბავი რაიმე უსიამოვნებას შეახვედრებდა, ნამდვილად არ ეგონა.

ნაშუადღევს თბილისიდან ტელეფონმა დარეკა. ფრიად ნაცნობმა ხმამ მეგობრულად უსაყვედურა ჩოხელს.

— პარტკაბინეტის გამგეს თუ ეძებდი, სიმონ, რატომ აქამდე არ მითხარი! ორი დღე მაცალე და ოქრო კაცს გამოგიგზავნი, ხუციშვილს კი თავი დაანებე... იყოს, სადაც არის!

— როგორ თუ იყოს! რას მეუბნები, ალექსი! — ცოტა უდიერად შეეკამათა ჩოხელმა: — კაცმა თბილისის უნივერსიტეტი დაამთავრა, სამეცნიერო მუშაობაზე ოცნებობს!

— რაზე ოცნებობს? — ვერ გაიგო ალექსიმ.

— სამეცნიერო მუშაობაზე.

ალექსის სიცილი წასკდა.

— რა მიამიტი კაცი ხარ, სიმონ! აბა, კარგად იყავი, მეორედ აღარ დამარეკინო!

პასუხს აღარ დაუცდია, ყურმილი დაჰკიდა.

„გასაგებია!" — ჩაილაპარაკა უსაზღვროდ შეურაცხყოფილმა ჩოხელმა, და როგორც სჩვეოდა, უბის წიგნაკი ამოიღო და აუჩქარებლად ჩაიწერა: „იორამ ხუციშვილი გაიგზავნოს ისტორიის მასწავლებლად სოფ. ნართაანში. ფლიდობის გამო კი საჯაროდ გაიკიცხოს ბიუროს სხდომაზე". მაგრამ ვიდრე ამ ნაფიქრალს შეასრულებდა, ერთმა-ორმა კაცმა კიდევ შეახსენა ჩოხელს, მაღლიდან წამოსულ სიტყვას ასე აღაღად ნუ წაუყრუებო.

„რაც მაღლიდან წამოვა, ყველაფერს კალთას ვერ შევუშვერ!" — სთქვა ჩოხელმა.

წითელი დათა არ შემცდარა. იორამ ხუციშვილმა მართლა არ იცოდა, რომ ნაცრის საიდუმლოების გამხელა, უპირველეს ყოვლისა, არჩილ ყანჩაშვილს გაახვევდა ხათაბალაში. ასე დაუფიქრებლად იორამი მეგობარს არ გაიმეტებდა, თუმცა ვინ იცის, — შურისძიებას უკან მოხედვა არ უყვარს.

„საიდან სად ჩამომაგდო!" ბურდღუნებდა ხუციშვილი და იუდას ცოდვასაც კი აიღებდა კისერზე, ოღონდაც ჩოხელისათვის ძირი გამოეთხარა.

ეს ძველი ამბავი რომ გაიხსენეს, არჩილი ცოტა დაშოშმინდა, პალტო გაიხადა, ბუფეტის კარადიდან არაყი და ორი ცალი გორგომიჭელას ჩურჩხელა გამოიტანა.

რა თქმა უნდა, იორამ ხუციშვილი ახლა უკან ვერ დაიხევდა, ამიტომ მასთან შეხვედრა და მოლაპარაკება თუ არას ჩაახვევდა, — არაფერს დააკლებდა არჩილ ყანჩაშვილს.

— თუმცა, — ამოიოხრა და ჭიქებში არაყი დაასხა: — გინდა მგელს შეუჭამივარ, გინდა მგლისფერ ძაღლს!

— შეგვეშინდება ვითომ?

არჩილმა ტუჩ-პირი შეიჭმუხნა.

— მგელს კბენა ადამიანმა ასწავლაო, დათა ბატონო! ყანჩაშვილი არ ვიყო, თუ მაგ რევიზორებს ერთი ფარა სამად არ დავათვლევინე! გესმის, რას გეუბნები?

ეგ რა საკითხავი იყო!

მესამე კაცის წაქცევას რომ დააპირებდნენ, ისინი უსიტყვოდაც კი გაუგებდნენ ერთიმეორეს.

— მაშ მწყემსებიც უნდა შევცვალოთ, არჩილ! — უთხრა დათამ. ცოტა გულზე მოეშვა და სტაფილოსფერი თავ-პირი ჩვეული ცეცხლივით აუტრიალდა.

— მწყემსებიც უნდა შევცვალოთ და ძაღლებიც! ერთი საიმედო კაცი დაიგულე და ყარღის ფარეხში მომიყვანე!

ჭიქები ასწიეს და ჩუმად შესვეს. არ დაილოცეს. დალოცვას თავისი გუნება უნდოდა.

თებერვალი.
1974.

მხატვარი ბ. იაშვილი.

ბაკურიანი-74

ალამი აღმართეს

გაიხსნა სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადა

ბაკურიანი, 9 მარტი. (ტელეფონით). ყოველ დიდ ასპარეზობას, მათ შორის სსრ კავშირის სპარტაკიადებს, ზამთრის იქნება იგი თუ ზაფხულის, ყოველთვის ამშვენებს გახსნის და დახურვის ცერემონიალი. და აი სსრ კავშირის ზამთრის მესამე სპარტაკიადის გახსნის ეს მშვენიერი დღე როგორც ბაკურიანში, ისე სვერდლოვსკში 9 მარტი იყო.

დღის 12 საათია. საქართველოს სპარტაკიადის სათხილამურო ბაზასა და ტრამპლინებს შორის მდებარე ფართო მოედანზე თავი მოიყარეს მოსკოვისა და ლენინგრადის, მოძმე რესპუბლიკების სპორტულმა დელეგაციებმა. პარადის მონაწილეთა შორის იყვნენ გასული სპარტაკიადისა და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები, პრიზიორები, სპორტის დამსახურებული ოსტატები, საერთაშორისო კლასის ოსტატები.

გაისმის ფანფარების ხმა. იგი გვამცნობს სპარტაკიადის დაწყებას. იქით, სადაც მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო გერბებია გამშვენებული, მწყობრი ნაბიჯით მოემართებიან სპორტსმენთა კოლონები — მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ-ის, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, საქართველოს, ყაზახეთის, ლატვიის, ყირგიზეთის, სომხეთის, ესტონეთის, ტაჯიკეთის გუნდები. კოლონებს წინ მიუძღვიან ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები, რომელთაც მოაქვთ სპარტაკიადის ალამი. მათ მოჰყვებიან მედროშეები. პარადის კომანდორი — მთავარი მსაჯი სამთო-სათხილამურო სპორტში ფ. ნავერიანი პატაკს აძლევს სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ო. ჩერქეზიას.

ამხ. ჩერქეზია გულთბილად მიესალმება და ასპარეზობებში წარმატებებს უსურვებს სპარტაკიადის მონაწილეებს, მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სპარტაკიადის მთავარი მსაჯი ვ. სმირნოვი.

ჟღერს სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნი. ალამი აღმართეს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონებმა — გ. შიხოვამ, ნ. შაშკოვამ, გ. ნაპალკოვმა, ა. მოროვიტინმა, ა. ნოსოვმა, ი. ციაგუნსმა. სპარტაკიადის ცეცხლი დიდი ტრამპლინისაკენ მიაქვთ ჩვენი რესპუბლიკის უძლიერეს სპორტსმენებს გ. ავალიანს, ბ. ქუმარიტაშვილს, მ. გაავას, ჩირაღდანი აავიზგიზა ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონმა ტრამპლინიდან ხტომაში სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა კ. წაქაძემ. ო. ჩერქეზია სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის მესამე სპარტაკიადას გახსნილად აცხადებს. სპორტსმენთა კოლონები ტოვებენ მოედანს.

ახლა მოკლედ იმაზე, თუ რა ასპარეზობები გაიმართა 8 და 9 მარტს, როგორია მათი შედეგები, ვინ გახდა სპარტაკიადისა და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები, პრიზიორები, როგორია პირველი სტარტების შემდეგ საერთო გუნდური მაჩვენებლები.

8 მარტის ცენტრალურ ასპარეზობას წარმოადგენდა სწრაფდაშვება ქალთათვის და გოგონებისათვის. ტრასა, რომელზეც შეჯიბრება მიმდინარეობდა, გამოირჩევა სირთულით (სიგრძე 2.100 მეტრი 10 კარით, სიმაღლეთა სხვაობა 520 მეტრი). ბრძოლა შეუპოვარი გამოდგა. სპარტაკიადის ჩემპიონობა და მასთან ერთად ჩვენი ქვეყნის პირველობა მოიპოვა მოსკოველმა სპორტის ოსტატმა ნინა მერკულოვამ („სპარტაკი“), დრო — 1.10,00. ვერცხლის პრიზიორი გახდა სპორტის ოსტატი გალინა შიხოვა (მოსკოვის ოლქი, ცსკა) 1.10,51. მესამე ადგილი დაიკავა ტატიანა პერჩატკინამ (ბელორეცკი, „სპარტაკი“), რომელიც გოგონათა ასპარეზობაში მონაწილეობდა და იქ პირველი ადგილი დაიკავა, მაგრამ ქალთა შორის აჩვენა აბსოლუტურად მესამე უკეთესი დრო, — 1.11,39. საქართველოს სამი წარმომადგენლიდან სამივემ მოგვცა ჩასათვლელი ქულები. ესენი იყვნენ სვეტლანა ნასყიდაშვილი (11 ქულა), თინათინ კოზანაშვილი და ნათელა ფალიანი (ორ-ორი ქულა), მაგრამ არცერთი მათგანი უძლიერესთა ექვსეულში არ მოხვედრილა.

სპარტაკიადის პირველმა ჩემპიონმა ნ. მერკულოვამ შეჯიბრების შემდეგ განაცხადა: ჩემპიონის ტიტულის მოპოვება ყველას ესიამოვნება, მაგრამ ეს გამარჯვება, რომელიც სწორედ ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს მოვიპოვე, კიდევ უფრო სასიამოვნოა. ტრასა ჩინებულად მომზადებულია და ასპარეზობასაც კარგი განწყობილებით შევხვდით. ჩემს წინაშეა ამოცანა — ასეთივე წარმატებით გამოვიდე სლალომში.

დღევანდელ ასპარეზობათა პროგრამაში შედიოდა ფერდობიდან შეუჩერებელი დაშვება ვაჟებისა და ჭაბუკებისათვის (შესარჩევი შეხვედრები), 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა ვაჟთა და ჭაბუკებისათვის ორჭიდელთა პროგრამით და ერთადგილიანი ციგით ასპარეზობა ჭაბუკებისა და გოგონებისათვის. სპარტაკიადაში სულ მონაწილეობს რესპუბლიკებისა და ოლქების 25 გუნდი. ჩათვლები მიმდინარეობს სპორტულ საზოგადოებათა მიხედვითაც. 9 მარტისათვის საერთო გუნდურ ჩათვლაში ლიდერობდა მოსკოვის ნაკრები, რომელსაც 81 ქულა ჰქონდა. მეორე ადგილზეა კემეროვოს ოლქის გუნდი — 52 ქულა, მესამეზე — მოსკოვის ოლქის ნაკრები — 51,5 ქულა. საქართველოს გუნდს 15 ქულით მერვე ადგილი უჭირავს.

ვ. გაბელია,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

სურათებზე: ასეთი იყო სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის მესამე სპარტაკიადის საზეიმო გახსნის ცერემონიალი ბაკურიანში. ქვემოთ — ჩვენი ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენებს ფლაგშტოკისაკენ მიაქვთ ალამი, რომელიც აქ იფრიალებს სპარტაკიადის უკანასკნელ სტარტებამდე; ზემოთ — სპორტის დამსახურებული ოსტატი, ბაკურიანელი კობა წაქაძე ანთებს სპარტაკიადის ჩირაღდანს.

მ. ზარბარიანის ფოტო.

დამთავრდა ოთხთა მატჩ-ტურნირი

ნ. ალექსანდრია შეხვდება ა. კუშნირს

8 მარტს კისლოვოდსკში XX პარტყრილობის სახელობის კულტურის სახლში გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტების ოთხთა მატჩ-ტურნირის საზეიმო დახურვა.

მეტად საინტერესო და დაძაბული სამკვირიანი ბრძოლის შედეგების შესახებ ილაპარაკა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა — საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ეკატერინე პეკარსკაიამ (მოსკოვი).

ტურნირში გამარჯვებულებს ნანა ალექსანდრიასა და ირინე ლევიტინას გულთბილად მიესალმა და სამახსოვრო სუვენირები გადასცა კისლოვოდსკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ შალვა გავაშელმა. ადგილობრივ ჭადრაკის მოყვარულთა სახელით მან თქვა, რომ თუ ნახევარფინალის მონაწილენი იქნებიან თანახმანი კვლავ აქ იასპარეზონ, კისლოვოდსკი დიდი სიხარულით უმასპინძლებს მსოფლიოს პირველობისათვის მებრძოლთ.

მკითხველებს უნდა ვაცნობოთ, რომ ნ. ალექსანდრია და მისი მწვრთნელი, გროსმაისტერი ბ. გურგენიძე თანახმა არიან ამ წინადადებაზე. სხვათა შორის ლევიტინამაც განაცხადა, რომ იგი კვლავ სიამოვნებით ითამაშებს ამ შესანიშნავ კურორტზე. ვფიქრობთ, რომ პიატიგორსკელი კოზლოვსკაიაც არ იტყვის უარს კისლოვოდსკზე, რომელიც რამდენიმე კილომეტრით არის დაშორებული მისი მშობლიური ქალაქიდან. ესე იგი, რჩება მხოლოდ კუშნირი. ვნახოთ, რომელ ქალაქს აირჩევს გამოცდილი პრეტენდენტი.

იქვე, საზეიმო დახურვის დროს გაიმართა პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩების წილისყრა. ნ. ალექსანდრიამ **ამოიღო ბარათი წარწერით „კუშნირი“. ასე რომ — ნანა ნახევარფინალურ მატჩში, რომელიც მაისში გაიმართება, იასპარეზებს მოსკოველ საერთაშორისო ოსტატ ალა კუშნირთან.** მეორე ნახევარფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან ირინე ლევიტინა (ლენინგრადი) და ვალენტინა კოზლოვსკაია.

კისლოვოდსკის ტურნირის დახურვას ესწრებოდა გროსმაისტერი ბორის სპასკი, რომელიც აქ ჩამოვიდა სტუმრად თავის მწვრთნელ — გროსმაისტერ იგორ ბონდარევსკისთან (ბონდარევსკი კოზლოვსკაიას მეუღლეა და პიატიგორსკში ცხოვრობს). ბ. სპასკიმ შეკრებილთ გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებები მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტ ვაჟთა ორთაბრძოლების შესახებ, კერძოდ ილაპარაკა თავის მატჩზე ამერიკელ რ. ბირნთან. რაც შეეხება კისლოვოდსკის ტურნირს, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა განაცხადა, რომ მასში უდავოდ ღირსეულმა გაიმარჯვა.

გ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

სცენაზეა პოეტი იოსებ ნონეშვილი

საქართველოში სახალხო სიყვარულითა და ფართო პოპულარობით სარგებლობს ჩვენი ცნობილი პოეტის, იოსებ ნონეშვილის შემოქმედება. მაგრამ იგი არის არა მარტო პოეტური სიტყვის მაღალნიჭიერი ოსტატი, არამედ საუკეთესო დეკლამატორიც, ამაში ერთხელ კიდევ დარწმუნდება ყველა, ვინც დაესწრება **იოსებ ნონეშვილის პოეზიის საღამოს, რომელიც ორშაბათს, 11 მარტს გაიმართება სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში (მელიქიშვილის ქ. № 1).**

პოეტი წაიკითხავს თავის სხვადასხვა დროის ლექსებს და დამსწრეთ გაუზიარებს საზღვარგარეთ მოგზაურობის შთაბეჭდილებებს.

იყიდება ბილეთები. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ТЕАТР НА МАЛОЙ БРОННОЙ

მოსკოველთა სამი სპექტაკლი

მალაია ბრონნაიას თეატრის გასტროლები თბილისში

თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში მთავრდება მოსკოვის დრამატული თეატრის გასტროლები. მაყურებელმა ნახა და გაიცნო სტუმრები და ახლა შეიძლება ვთქვათ, რომ სპექტაკლებმა დიდი ინტერესი გამოიწვია. რა თქმა უნდა, ეს განპირობებული იყო საშემსრულებლო დასის საუკეთესო წარმომადგენლთა პოპულარობითაც. თეატრის მსახიობებს რსფსრ სახალხო არტისტებს ლ. სუხარევსკაიას, ხ. სოკოლოვსკის, დამსახურებულ არტისტებს ლ. ბრონევოის, ნ. ვოლკოვს, ი. კუდრიავცევს, მ. ანდრიანოვს, ა. შიროვს, ა. ანტონენკოს, ა. გრაჩოვს, გ. მარტინიუკს თბილისელები იცნობენ კინოფილმებიდან, ტელეგადაცემებიდან.

თბილისში გასტროლები დაიწყო ი. დვორეცკის ორნაწილიანი თანამედროვე ქრონიკით „უცხო კაცი“. ეს პიესა თანამედროვე საბჭოთა დრამატურგიის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. მას უკვე არაერთმა თეატრმა მიმართა, გადაღებულია სატელევიზიო ფილმი, პიესა ითარგმნა მრავალ ენაზე და დაიდგა თბილისშიც, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე. პიესას თბილისელი მაყურებელი კარგად იცნობს.

მეორე წარმოდგენა, რუმინელი ავტორის ა. ბარანგას ორნაწილიანი კომედია „საზოგადოებრივი აზრი“ კი სრულიად უცხო იყო თბილისელთათვის, სპექტაკლი თანამედროვეობის თემას ეხება. ეს არის სადღეისო საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტის ცდა, რომელიც ბევრ ფიქრს აღძრავს და კამათს იწვევს. საინტერესოა თვით ის პრობლემები, რომლებიც ავტორს პიესისათვის საფუძვლად დაუდვია, თეატრს კი მისი გადაწყვეტისათვის ორიგინალური გასაღები მოურგია. მოქმედების ადგილია რედაქცია და, ცხადია, სცენაზე განსახიერებული გმირები ჟურნალისტები არიან. თვით ეს ფაქტი უკვე განაპირობებს საჭირბოროტო საკითხთა წინწამოწევას, ადამიანთა დამოკიდებულების ეთიკურ ნორმებზე, სამსახურებრივი სუბორდინაციის აუცილებლსა და ამასთან ერთად ჩრდილოვან მხარეებზე ყურადღების გამახვილებას. ერთი სიტყვით, ბევრ ისეთ საკითხს, რომლებსაც სადღეისოდ ვთვლით და რომელთა გადაწყვეტაზე ბევრ ჩვენგანს ხშირად გვიფიქრია. სპექტაკლი დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა, რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. დუნაევმა.

ორიოდე სიტყვა რეჟისორზე, რომლის ორიგინალური ხერხი პიესის გადაწყვეტისა აზრის მკვეთრად გამოკვეთას ემსახურება. მაყურებელი თითქოს თვითვე ხდება სცენაზე წარმოსახულ ამბავთა უშუალო მონაწილე, დარბაზთან კონტაქტი იმდენად მჭიდროა, რომ მსახიობთა დარბაზიდან გამოჩენა, ანდა, პირიქით, სცენიდან პარტერში მათი ჩამოსვლა აღიქმება როგორც მდგომარეობით გამოწვეული აუცილებელი და ამასთან ერთად ორგანული მოვლენა. საუცხოო ფინალი, როცა რეჟისორი კონფლიქტის გადაწყვეტის რამდენიმე ვარიანტს გვთავაზობს, გამოდგება იმის დასტურად, რომ ცხოვრებისეული საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტა ერთი ხელის მოსმით არ არის შესაძლებელი და არც ისეთი უმნიშვნელოა, რომ მასზე პასუხი ერთმა კაცმა, ერთმა სპექტაკლმა ან ერთმა თეატრმა შეძლოს.

სპექტაკლში მონაწილე მსახიობები რამდენიმე როლს განასახიერებენ, გარდასახვის ოსტატობა აქ უეჭველად აღნიშვნის ღირსია (ვ. სმირნიტსკი, ა. ანტონენკო, ჰ. სანკო, კ. გლაზუნოვი).

მესამე საგასტროლო წარმოდგენა ლ. სუხარევსკაიასა და ე. იაკუშკინას პიესა „წარმატების მეჯლისზე“ ანუ ედიტ პიაფი საგასტროლო რეპერტუარის დამაგვირგვინებელია. როგორც სათაურიდან ჩანს, იგი პოპულარული ფრანგი მომღერლის ხელოვნებითა და დრამატული ბედით არის შთაგონებული.

...განშორების ჟამს მუდამ სევდა ახლავს და თბილისელი მაყურებელიც ასე ემშვიდობება მოსკოვის მალაია ბრონნაიას თეატრს, რომელსაც წარმატებას და ახალ სცენურ გამარჯვებებს უსურვებს.

ზ. რცხილაძე.



სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „საზოგადოებრივი აზრი“, მსახიობები ა. ანტონენკო — ოტილია (მარცხნივ) და ვ. სმირნიტსკი — კიტლარუ.

ა. კაკაბაძის ფოტო.

[illegible]

პირველი პროგრამით

11 მარტი

17.05 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 18.05 — განცხადებები, 18.10 — მოსწავლეთათვის. „ჩვენი სატელევიზიო ფოსტა“, 18.45 — კინონარკვევი, 18.55 — რესპუბლიკის ახალი ამბები (რუსულ ენაზე), 19.15 — „სარატოვის ოლქის შემხვედრი გეგმა — მოქმედებაში“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ორკესტრის კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.40 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.10 — „საერთაშორისო დღიური“, 21.45 — კინონარკვევი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „მოწვეულ მსახიობებთან“, 23.50 — საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის მესამე სპარტაკიადაზე (გადმოცემა მოსკოვიდან).

12 მარტი

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — კინოპროგრამა, 11.00 — სკოლების დასახმარებლად: ფიზიკა (VI-კლასელთათვის, სხეულთა ცურვა), 11.25 — სტუდენტთა დასახმარებლად: ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 12.25 — მხატვრული ფილმი „ქალთა ფიცი“, 16.30 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად ლექციები: ქართულ ენაში, 17.15 — ბიოლოგიაში, 18.00 — განცხადებები, 18.05 — მოსწავლეთათვის. მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.45 — „ჩარხები-72“, 19.10 — „სამართლის ცოდნა — მასებს“, 19.30 — „თბილისის ცის ქვეშ“, 20.00 — კინონარკვევი, 20.10 — „სპორტული მიმოხილვა“, 20.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — „ბალეტის საღამო“, 21.45 — კინონარკვევი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — სპორტული პროგრამა, 1. საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის მესამე სპარტაკიადაზე (გადმოცემა მოსკოვიდან); 2. საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ჰოკეიში. ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირი (გადმოცემა ჩეხოსლოვაკიიდან).

13 მარტი

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „კინომოგზაურობის კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „იჩქარე სახლის აშენება“, 16.50 — სკოლების დასახმარებლად: რუსული ენა, 17.20 — კინონარკვევი, 17.30 — მოსწავლეთათვის. ტელესტუდია „ორლიონოკის“ საკონცერტო დარბაზი (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — სკოლების დასახმარებლად: ინგლისური ენა, 18.30 — „კონტინენტები, ქვეყნები, პრობლემები“, 18.55 — „საბაგირო გზები“, 19.20 — რეკლამა, 19.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩემი მოსკოვი“. პრემიერა (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.25 — „უკრავს ანდრე ნავარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.40 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.10 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „გლობუსი“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის მესამე სპარტაკიადაზე (გადმოცემა მოსკოვიდან).

14 მარტი

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — სატელევიზიო ნარკვევი „საბჭოური ხასიათი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — კინოპროგრამა, 12.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — მხატვრული ფილმი „მოთამაშე“, 16.30 — ლექციები: უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად: — ქიმიაში, 17.15 — სსრ კავშირის ისტორიაში, 18.00 — განცხადებები, 18.05 — დოკუმენტური ფილმი „მთავარი რგოლი“ (ქართულ ენაზე), 18.25 — მოსწავლეთათვის — „ჯადოსნური საღებავი“, 18.55 — „სპორტსმენი და მორალი“, 19.30 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — „პერუ — გარდაქმნების გზით“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.55 — პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი მიმართვის საპასუხოდ — „ჩვენი საბჭოთა ინტელიგენცია“, 21.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „მეგობრების ხელოვნება“ — მარტიროს სარიანი, 21.45 — კინონარკვევი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ახალგაზრდული ხმები“, 23.30 — საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის მესამე სპარტაკიადაზე (გადმოცემა მოსკოვიდან).

15 მარტი

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — სატელევიზიო სპექტაკლი, 12.00 — მხატვრული ფილმი „დაფნები“, 16.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 18.00 — მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლების შემსწავლელთათვის — „კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია“, 18.15 — მოსწავლეთათვის — „საინტერესო შეხვედრების კლუბი“, 18.55 — კინონარკვევი, 19.10 — „სახალხო კონტროლის ეკრანი“, 19.40 — „სოციალიზმის სამყარო“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.10 — „დღეს უკეთ — ვიდრე გუშინ“, 20.30 — „მოამბე — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — კინონარკვევი, 21.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მუსიკალური პროგრამა, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ეკრანზეა — მიუზიკლი“, 23.40 — ახალი ამბები, 23.50 — სპორტული პროგრამა საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის მესამე სპარტაკიადაზე (გადმოცემა მოსკოვიდან).

16 მარტი

10.05 — ფერადი ტელევიზია. ტანვარჯიში ყველასათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — „ახალი ამბები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „ჯადოსნური ეკრანი“, 10.50 — კინონარკვევი, 11.00 — ფერადი ტელევიზია. კონცერტი „მხიარული ქარი“, 11.45 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „წინააღმდეგ ყოველივესი“, 13.10 — „თქვენთვის, მშობლებო!“, 13.40 — სამეცნიერო პოპულარული ფილმი „ზედმეტი ჭიქა“ (ქართულ ენაზე), 14.00 — „30 წუთი კინოს მოყვარულთათვის“, 14.30 — კინონარკვევი, 14.50 — „ტუტანხამონის აკლდამის საგანძური“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.20 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.50 — კინონარკვევი, 16.10 — „ახალგაზრდული ხმები“, 17.10 — კინონარკვევი, 17.20 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.10 — „თანამედროვე კრიტიკის ზოგიერთი საკითხები“, 18.30 — „საესტრადო პანორამა“, 19.00 — „კანონიერების სადარაჯოზე“, 19.25 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „დაბრუნებული საუნჯე“, 19.45 — ფერადი ტელევიზია. „ცხოველთა ცირკი“, 20.20 — ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ამერიკაში. კალიფორნია დღეს“, 20.40 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.05 — „გარსია ლორკა მუსიკოსი“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.30 — კინოპანორამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 24.00 — საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის მესამე სპარტაკიადაზე (გადმოცემა მოსკოვიდან).

17 მარტი

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში ბავშვებისათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია. მოსწავლეთათვის „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „შევისწავლოთ რუსული ენა“, 11.45 — კინონარკვევი, 12.00 — „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — ბავშვებისათვის. მხატვრული ფილმი „რობინზონ კრუზოს ცხოვრება და საოცარი თავგადასავალი“, 14.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 15.00 — „კინოაფიშა“, 15.30 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 16.30 — სამეჯლისო ცეკვების კონკურსი“, 17.00 — მოსწავლეთათვის — „კარგი დასაწყისი“, 17.15 — „საერთაშორისო პანორამა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.45 — „საჭადრაკო სკოლა“, 18.15 — „გადავაქციოთ მეცხოველეობა რენტაბელურ დარგად“, 18.35 — კინონარკვევი, 18.55 — „ჯანმრთელობა“ სატელევიზიო პროგრამა, 19.25 — „კინოლექტორიუმი“, 20.55 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.05 — საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის მესამე სპარტაკიადაზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საესტრადო კონცერტი.

სპორტული ამბები

☐ **წყალბურთი.** სსრ კავშირის ჩემპიონმა — მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდმა დაუმარცხებლად განვლო საკავშირო პირველობის სასტარტო ტური ტალინში. ლიდერს 10 ქულა აქვს. მეორე ადგილზეა თბილისის „დინამო“ — 6 ქულა. ქართველმა წყალბურთელებმა წააგეს უნივერსიტეტის გუნდთან (3:6) და ლენინგრადის „ბალტიკასთან“ (1:7). დანარჩენ სამ მატჩში კი გამარჯვება მოიპოვეს — ალმაათის (5:4), მოსკოვის (5:4), და ხარკოვის „დინამოსთან“ (6:4).

☐ **ფეხბურთი.** ჩვენი ქვეყნის სამხრეთის სტადიონებზე გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების რამდენიმე მატჩი ფეხბურთში. აი მათი შედეგები: ივანოვოს „ტექსტილშჩიკი“ — პერმის „ზვეზდა“ — 1:1, ორჯონიკიძის „სპარტაკი“ — კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“ — 0:2, კრასნოდარის „კუბანი“ — ივანო-ფრანკოვსკის „სპარტაკი“ — 0:0, კემეროვოს „კუზბასი“ — სიმფეროპოლის „ტავრია“ — 2:2, დუშანბეს „პამირი“ — სვერდლოვსკის „ურალმაში“ — 0:0. განმეორებითი შეხვედრები გაიმართება დღეს. ქუთაისის „ტორპედო“ ადლერში შეხვდება იაროსლავლის „შინიკს“.

ბაღდადში მოსკოვის ცსკა-მ ანგარიშით 3:1 ამხანაგურ მატჩში დაამარცხა ერაყის შეიარაღებული ძალების გუნდი.

☐ **ფრენბურთი.** ვოროშილოვგრადის „ზარიამ“ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის დასკვნითი ტურნირის პირველ მატჩში ბრიუსელში სძლია იტალიის „ლიბიამს“ — 3:1, ხოლო რიგის „რადიოტექნიკამ“ — პოლონეთის „რესოვაიას“ — 3:0.

☐ **ჰოკეი.** მოსკოვის „დინამო“ ტურნეს მართავს ინგლისში. პირველ მატჩში დინამოელებმა სძლიეს „ლონდონ ლაიონს“ — 6:3.

☐ **კალათბურთი.** გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო პირველობის მორიგი მატჩი. თბილისის „დინამო“ შეხვდა ტარტუს „კალევს“. ანგარიშით 89:87 (51:46) გაიმარჯვეს ქართველმა კალათბურთელებმა.

☐ **მძლეოსნობა.** დიდ წარმატებას მიაღწია თბილისელმა იგორ ვოლკოვმა სსრ კავშირის ზამთრის მეორე პირველობაზე, რომელიც ლენინაბადში გაიმართა. ჩვენი რესპუბლიკის მრბოლმა ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა გიტში „ტრეკის რკალი“ (333,3 მეტრი) — 20,5 წამი. ექვსდღიან რბოლაში გაიმარჯვა მოსკოველმა ანატოლი სტარიკოვმა, ხოლო სპრინტერული რბოლის პირველ ტურში — ტულელმა ვიქტორ კოპილოვმა. 200 მეტრი მან დაფარა 12,1 წამში. სულ ასპარეზობაში გამოდიოდა 100 სპორტსმენი.

☐ **ციგურაობა.** მიუნხენში მსოფლიოს ჩემპიონატზე ფიგურულ ციგურაობაში წარმატებით გამოდიან საბჭოთა სპორტსმენები. წყვილთა ასპარეზობაში ტოლი არ ჰყავდათ ირინე როდნინასა და ალექსანდრე ზაიცევს. ირინე მეექვსედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, ალექსანდრე კი — მეორედ. ვერცხლის მედლები გადაეცათ ლ. სმირნოვასა და ა. ულანოვს, ბრინჯაოსი — რ. კერმერსა და რ. ესტერრაიჰს (გდრ). როგორც მოსალოდნელი იყო, ცეკვებში ჩემპიონობა მოიპოვა აგრეთვე საბჭოთა წყვილმა — ლიუდმილა პახომოვამ და ალექსანდრე გორშკოვმა. ინგლისელები გრინი და უოტსი მეორე ადგილზე გამოვიდნენ. ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს საბჭოთა მოციგურავეებმა ნ. ლინიჩუკმა და გ. კარპონოსოვმა.

ვაჟთა ერთეულებში გაიმარჯვა 18 წლის იან ჰოფმანმა (გდრ). მეორე ადგილზეა საბჭოთა სპორტსმენი სერგეი ვოლკოვი, მესამეზე — კანადელი ტ. ჟურენსტონი.

☐ **ფარიკაობა.** ცსკა-ს რაპირისტებმა სამი წლის შესვენების შემდეგ კვლავ მოიპოვეს ევროპის თასი ვაჟთა საკლუბო გუნდებს შორის. ტურნირის ფინალში მათ მასპინძლობდნენ საფრანგეთის ქალაქ მელონის მოფარიკავენი. ორთაბრძოლა ძალზე დაძაბული იყო და დამთავრდა ფრედ — 8:8. მაგრამ ვინაიდან საბჭოთა გუნდს ჩხვლეტებში ერთგვარი უპირატესობა ჰქონდა (61:58) გამარჯვებაც მას მიეკუთვნა.

☐ **მხატვრული ტანვარჯიში.** 15 წლის ომსკელმა მოსწავლემ ლიუბოვ ბილიკინამ ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ტრშინეცში დიდ წარმატებას მიაღწია. თორმეტი ქვეყნის ტანმოვარჯიშეთა დაძაბულ ასპარეზობაში მან გაიმარჯვა ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ თასის გათამაშებაში.

ამინდი

დღეს, 10 მარტს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ, იქროლებს აღმოსავლეთის ქარი 7-12 მეტრი წამში, რიონის ხეობაში — 15-21 მეტრი წამში, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 13-18, მთაში — 4-9 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში იქნება ცვალებადი მოღრუბლულობა, აღმოსავლეთ რაიონებში მცირე ნალექი, ზოგან ნისლი, სუსტი ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 3-8 გრადუსი სითბო, მთაში 3 გრადუსი ყინვა-2 გრადუსი სითბო.

თბილისში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უმნიშვნელო ნალექი, სუსტი ქარი, ტემპერატურა 6-8 გრადუსი სითბო.

ტელევიზია

10 მარტი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში ბავშვებისათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მოსწავლეთათვის — „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „შევისწავლოთ რუსული ენა“, 11.45 — „ჯადოსნური ეკრანი“, 12.05 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „საჭადრაკო სკოლა“, 12.30 — ფერადი ტელევიზია „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 14.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 14.55 — საბავშვო მუსიკის კვირეული, 16.00 — „ახალგაზრდობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 17.10 — „კინოს სამყაროში“, 18.15 — ფერადი ტელევიზია. მსოფლიო ჩემპიონატი ციგურებით ფიგურულ სრიალში (გფრ), 20.30 — „კინოაფიშა“, 20.50 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — სატელევიზიო სპექტაკლი „აღმოსავლეთის ექსპრესი“ (IV ნაწილი), პრემიერა (საქართველოს ტელევიზიის დადგმა), 21.40 — კინონარკვევი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ახალგაზრდული ხმები“ — თელავის ზონა, 23.30 — კინონარკვევი, 23.40 — საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის მესამე სპარტაკიადაზე (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის).

მეორე პროგრამით

19.05 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. ბავშვებისათვის მოკლემეტრაჟიანი ფილმი „დღეს დომინიკას დღეობაა“, 20.00 — საესტრადო კონცერტი, 20.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „კინოდოკუმენტალისტის თვალით“, 21.30 — მხატვრული ფილმი „დაფნები“.

რადიო

11 მარტი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.20 — ტანვარჯიში, 06.35 — ნ. გუდიაშვილი. საფორტეპიანო კონცერტი „ჩემი სამშობლოს ველებზე“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — დილის კონცერტი, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.10 — მსოფლიოს ხალხთა მუსიკა, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — დ. თორაძე. ნაწყვეტები ოპერიდან „ჩრდილოეთის პატარძალი“, 11.45 — საუბარი „კიბერნეტიკა და რელიგია“, 12.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — ა. ჭავჭავაძის ლექსები, 12.30 — ქართული ინსტრუმენტული პიესები, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — ი. სანტორის კონცერტი, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „მ. კიური“, 18.05 — ო. თაქთაქიშვილი — კამერული ნაწარმოებები, 18.45 — მსუბუქი მუსიკა, 19.00 — საუბარი „შემხვედრი გეგმები მოქმედებაში“, 19.15 — ქართულ ხალხურ საკრავთა სახელმწიფო ორკესტრის კონცერტი, 19.40 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. საუბარი „სოციალისტური დაგეგმვა და პროგნოზირება როგორც წარმოების მართვის მეთოდი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — „ს. პროკოფიევის ოპერა „სამი ფორთოხლის სიყვარული“, 23.30 — რ. ლაღიძე. მუსიკა კინოფილმებიდან, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

10 მარტი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური (ვაჟა-ფშაველას პროსპ. № 43) — **ლოენგრინი**; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ხანუმა**; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ჟამთა სიავე**; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **მაკოცე, კეტ.**

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი
380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეები—99-93-03, 99-03-09, პ/მ მდივნის — 99-72-60, სამდივნო — 99-66-10 განყოფილებები: პარტიული—99-87-61. პროპაგანდის — 93-22-38 მრეწველობის — 93-20-84. სოფლის მეურნეობის — 93-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-48, ლიტერატურისა და ხელოვნების — 93-55-01, ინფორმაციის — 93-16-30 წერილების — 93-78-24, ილუსტრაციის — 93-25-54.
ჩვენი მისამართი და ტელეფონები
КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 04499
საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.